ნელიწადი პირველი. ფასი 5 პაპ. შაბათი. 29 აგვისტო 1915 წ. № 81

163

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

დღევანდელ ნომერში 6 გვერდია

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

„ხარფუხის კლუბი“

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

შაბათი 29 აგვისტო. დღესასწაულის გამო გასართობები არ იქნება.

კვირას 30 აგვისტოს. გაიმართება უკანასკნელი კონცერტი არტისტი **ი. პ. სარაჯიშვილისა;** მონაწილეობით: საიმპერატორო თეატრების არტისტი-მომღერალი **ი. თამამშევიჩის** და სოლისტი-ვიოლონჩელისტი **ე. ნ. კაპელნიცკის.**

შესვლა კონცერტზე უფასოა

დასაწყისი საღამოს 9 საათზე, სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნო სკოლაში

25 მარიამობისთვიდგან 15 ენკენისთვემდე

ამა წლისა, მიიღებენ მოწაფეთ 13 წლიდგან ვიდრე 16 წლამდე. საჭირო ცოდნა მხოლოდ ქართული წერა-კითხვისა.

აქვე, 1-ლ ენკენისთვიდგან მიიღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას. აგრეთვე ყოველ გვარ საკერავს: თეთრეულს და ნაქარგს. ვერა გაბაანთ ქუჩა № 3

პერძო საკალეგო 4 კლასიანი სასწავლებელი

კნ. ანასტასია ლევანის ასულის ჩერძეზიშვილისა.

(საანბანო, უმცროსი და უფროსი განყოფილება მოსამზადებელ კლასისა I, II, III, IV კლ.)

მისაღები გამოცდა იწყება ყველა კლასებში 1 ენკენისთვეს

1 ენკენისთვეს—რუსულ ენაში ყველა კლასებში
2 ენკენისთვეს—ანგარიში
3 ენკენისთვეს—ისტორია და სამღვთო რჯული
4 ენკენისთვეს—გეოგრაფიასი და ბუნების მეტყველობისა.

მისამართი: ალექსეევის ქუჩა № 17.

სწავლა იწყება 5 ენკენისთვეს. (10—4)

ახალი სკოლა პანსიონით

გიმნაზიის პროგრამით

გაიხსნება საანბანო და მოსამზადებელი განყოფილებებით. ამზადებენ ბავშვებს ქართული გიმნაზიებისა, კერძო სკოლებისა და მთავრობის სასწავლებლებისათვის მეოთხე კლასამდე. დაწვრილებით ცნობების მიღება და ყმაწვილთა ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დალის 9 საათიდგან 1 საათამდე. მისამართი: მამადავითის ქუჩა, № 36, ბინა მარიამ ერისთავისა. 8—5

იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაქტილი

„კაფე პარიზი“

გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით.

სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

გადაწერას საწერ მანქანის

საშვალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე ოღლას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ძ. გ ო ტ რ შ ი

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და **ქირურგიულ** სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა 31 აგვისტოდან 6 ენკენისთვემდე

ოტრშაბათი—**ოპერეტა.**

სამშაბათი—სიმფონიური კონცერტი ე. ა. ბრიუნელის ლოტბარობით, მონაწილეობას მიიღებს **სოლისტი-ვიოლონჩელისტი ე. ნ. კაპელნიცკი.**

ოთხშაბათი—სიმფონიური კონცერტი ლ. ი. სამინსკის ლოტბარობით.

ხუთშაბათი—**ქართული წარმოდგენა,** წარმოდგენილი იქნება—„ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“.

პარასკევი—**სინემატოგრაფი.**

შაბათი—სიმფონიური კონცერტი ე. ა. ბრიუნელის ლოტბარობით. მონაწილეობას მიიღებს მომღერალი არტისტი საიმპერატორო თეატრისა **ი. თამამშევიჩი.**

კვირას—**მოლოროსიული წარმოდგენა.**

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე, წარმოდგენა და სიმფ. კონცერტებისა საღ. 9 საათზე.

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის

ქარხნები

მ. ე. ლალიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან ყოველთვის** მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლალიძის** და **ამხანაგობის** ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო **წყალი. მხოლოდ ლალიძის წყალი** მზადდება **უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან** ნამდვილი **ლალიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

თბილისის სამეფო ბანკის არაჩვეულებრივი

საზოგადო კრება,

რომელიც არ შესდგა 19 ივლისს 1915 წელს წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, **დანიშნულია კვირას, 6 სექტემბერს დილის 11 საათზედ** ზემოხსენებულ ბანკის სადგომში. კრებამ უნდა ამოირჩიოს გამგეობის თავმჯდომარე ნაცვლად თ. დიმ. ერ—ძე ჩოლოყაშვილისა, რომელიც არჩეულ იქმნა თბილისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლად.

ტფ. ქართულ ფილარმონიული საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

გადავიდა ახალ ბინაზე: სლეპცოვის ქ., ზელნიცკის სახლი. № 4.

მოწაფეთა მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან,

10—2 ს.-მდე დღისით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კანტორაში **მასწავლებელთა სია:** ფორტეპიანოს კლასი: **მ. გ. ანდრონიკოვა-ციციანოვა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ქიქოძე, ე. ი. მადატოვა-პოლტარაცკისა, ე. ვ. ფოგელისა, თ. ს. შაბუროვა;** სკრიპკა: **მ. ტ. ვასილევი, პ. ა. ტიზენგაუზი;** ვიოლენჩელი: **გ. დ. დიღმელოვი;** კონტრაბასი: **მ. ი. შერშოგი;** სიმღერა (სოლო): **მ. ა. კოლოტოვისა;** თეორიის კლასები: **ზ. პ. ფალიაშვილი;** ხორო: **ზ. ი. ჩხიკვაძე;** ახლად მოწვეულია ფორტეპიანოზე მასწავლებელი. მოსკოვის კონსერვატორია დამთავრებული პროფეს. გოლდენვეიზერის კლასის თავისუფალი ხელოვანი **ე. დ. აბელაშვილისა.** მომავალი სამოსწავლო წლიდან სკოლაში დაარსდება სპეციალი კურსი იმ პირთათვის, რომელთაც სურთ შეისწავლონ თავისებურება ქართული მუსიკისა.

სწავლის ფასი: ფორტეპ. 70 მანეთი წელიწადში, სკრიპკა—75 მ. ვიოლონჩელი—65 მ., კონტრაბასი—50 მ., სიმღერა—100 მ., თეორიის კლასები—15 მ. სწავლის ფასი გადახდებათ ნახევარი წლობით წინდაწინ.

პარაკლისი გადახდილ იქნება 6 სექტემბერს შუადღის 1 საათზე

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

ომის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან

ხუთი მილიონიანი ჯარი.

ირლანდიის პარტიის ბელადი, ოკონორი ესაუბრა „Petit Journal“-ის კორესპონდენტს ინგლისის მიერ მიღებულ სამხედრო ღონისძიებათა თაობაზე. ინგლისმაო, — უთქვამს ოკონარს,—უკვე გაიყვანა ბრძოლის ველზე სამი მილიონი ჯარისკაცი. იგი ეხლა ამზადებს ორ მილიონიან ჯარს. ინგლისის მთავრობას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ჯარის შევსება ხუთ მილიონამდე. ეს ჯარი მოკავშირეთა ძალებთან ერთად, საკმარისი იქნება გერმანეთის ძლიერების შესამუსრავადო, განუცხადებია ირლანდიის პარტიის ბელადს.

ვატიკანის დღესასწაულის გადადება.

შვეიცარული გაზეთი „Züricher Nachrlchten“-ი იუწყება, რომის პაპის არჩევის წლის თავის საზეიმო აღნიშვნა გადაიდო მომავალ ნოემბრამდე. ამ დროისთვისო, ამბობს კლერიკალური გაზეთი, უეჭველად ზავის პერიოდი დადგება და საზეიმო დღესასწაულიც მაშინ უფრო დროის შესაფერი იქნებაო. ფიქრობენ, კლერიკალური გაზეთის ასეთი რწმუნება საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებულიო.

გერმანეთის პოლიტეხნიკუმი და ინგლისელი მეცნიერი.

„Vossische Zeityng“-ის სიტყვით დარმშტადტის პოლიტეხნიკუმის საბჭოს დაუდგენია მიართვას საპატიო დოკტორის დიპლომი ცნობილ ინგლისელ მეცნიერ ლინდლეისთვის, რომელსაც ახალგაზდობაში ლექციები მოუსმენია მაინის ფრანკფურტში და იმავე ქალაქში წყლისადენ მილების გაყვანის მეთაური ყოფილა.

გერმანული მართვა-გამგეობა პოლონეთის სამეფოში.

„Postner Tagebatt“-ი იუწყება: მთელი პოლონეთის სამეფოს გენერალ-გუბერნატორად და არა მდ. ვისლას იქითა მდებარე ტერიტორიისა, დაინიშნა გენერალი ფონ-ბეზელერი; ფონ-ბეზელერის შტაბის უფროსად დანიშნულია გენერალი ფონ-დერენი, რომელიც ჰინდენბურგთან იყო საგანგებო მონდობილებათა მოხელედ.

———

ამავე გაზეთის სიტყვით, სამოქალაქო გამგებლობა ვისლის იქითა მდებარე მხარისა კალიშიდან ვარშავაში გადაიტანეს.

დეპუტაცია ჰინდენბურგთან.

ბერლინის გაზეთების სიტყვით, პრუსიის ლანდტაგის სამეურნეო კომისიამ დაიარა თუ არა ომისაგან დაზარალებული ადგილები აღმოსავლეთ პრუსიისა, მთელის შემადგენლობით ინახულა ჰინდენბურგის მთავარი ბინა. კომისიის თავმჯდომარის ლანდტაგის წევრის ვინკლერის სალამის საპასუხოდ ჰინდენბურგმა სთქვა: მეტის-მეტ უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს ის გარემოება, რომ ჩემს მოქმედებას სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე გადაჭარბებულის ქებით იხსენიებენ, რადგანაც ჩემი პირადი ღირსება და დამსახურება სამშობლოს წინაშე ისე შორს არ მიდის, რომ ჩაჩრდილოს გერმანეთის ჯარის ღირსება და მამაცობა, უბრალო ჯარისკაციდან დაწყებული ვიდრე პირველ გენერალამდე. ჰინდენბურგმა ასე დაასრულა თავისი სიტყვა: კაცობრიობის ისტორია ასეთ ჯარისკაცებს არ იცნობს. არ შეიძლები ამ ჯარისკაცებმა რომ არ გაიმარჯვონ და გაიმარჯვებენ კიდეცო.

პირველ-გვერდა-ნანი
საქართველო
„ვეფხვი“
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანც-იოსების ავადმყოფობა.

ვენიდან ცნობაა, ფრანც-იოსები მძიმედ ავად გახდაო.

ბულგარეთის პოზიციის თაობაზე.

ერთი ბულგარელი გავლენიანი მოღვაწე, რომელიც ძალიან ახლო დგას სოფიის ხელმძღვანელ წრეებთან, ასე აშუქებს ბულგარეთ-ოსმალეთს შორის დადებულ ხელშეკრულობას:

რამოდენიმე დღის წინად დადებულ ხელშეკრულობას ოსმალეთსა და ბულგარეთს შორის, პირველ-ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ეს ხელშეკრულობა მოწმობს, რომ ბულგარეთს გაბედული და ყოველგვარ ორჭოფობას მოკლებული ნაბიჯი გადაუდგამს, რომ ბულგარეთი საბოლოოდ მტკიცედ შეკავშირებია ოსმალეთისა და ცენტრალ იმპერიათა პოლიტიკას და სამხედრო მოქმედებას. ამ ხელშეკრულობასთან უშუალი კავშირი აქვს ახალ სამხედრო მინისტრად გენერალ იეკოვის დანიშვნას, იმ გენერალისა, რომელმაც „საკეთილოდ დააბოლოვა სტამბოლის მთავრობასთან მოლაპარაკება და რომელიც დარწმუნებულია იდეიური მომხრეა ბულგარეთის კავშირისა გერმანგთთან. ამის შემდეგ რამდენიც უნდა იმდენი ილაპარაკონ ბულგარეთის ნეიტრალობის შესახებ პასუხის არა-მგებელ წრეებმა. ამ გვარ ლაპარაკიდან არა გამოვა-რა, რადგანაც ფაკტიურად ბულგარელები ავსტრია-გერმანეთის მომხრეებად უნდა იქმნან მიჩნეული, რაიცა ახლო-მომავალში დამტკიცება ბულგარეთის აკტიური გამოსვლითო.

გერმანელების ჯავშნიანი ავტომობილები.

„ბირჟ. ვედ.“-ს ბუქარესტიდან ატყობინებენ: ტურნ-სევერინის მცხოვრებნი თავზარდაცემულნი არიან გერმანელთა ჯავშნიან ავტომობილების ტოპლიცეში მოსვლითო.

ომის დეპეშები

თბილისი, 27 აგვ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 25 აგვისტოს ზღვის პირა რაიონში ოსმალთა მზვერავები ცდილობდნენ მდინარე არხავეზე გადმოსვლას, მაგრამ რუსების მოდარაჯე რაზმებმა უკუაქციეს. ოლთისის მიმართულებით რუსეთის მზვერავებმა სოფელ ხარხტასთან გაანადგურეს ოსმალთა მოდარაჯე რაზმი. მელიაზგერის და ვანის რაიონებში რუსების მზვერავებს შეტაკება აქვს ქურთებთან. ვანის ტბის სამხრეთ ნაპირზე რუსების ცხენოსნებს შეტაკება ჰქონდათ ოსმალთა ცხენოსნებთან, დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 27 აგვ. ოფიციალი. რიგის რაიონში და ფრიდრიშტადტის მხარეზე მდგომარეობა არ შეცვლილა. გერმანელები ვერ იტანენ რუსთა ხიშტიან კონტრ იერიშებს. ამისდა მიუხედავად მათ მაინც იერიში იერიშზე მოაქვთ, თითქოს ჰსურთ რუსები დვინის მეორე ნიპირზე გადაჰლალონო. დვინის მიმართულებით ყველაზე მეტი სროლაა აბელთან. ვილნოს გზით მდგომარეობა საზოგადოდ უცვლელია. თუმცა გერმანელები მკვიდრად იკიდებენ ფეხს. გროდნოდან მოყოლებული სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსის ჯარები მკაცრი ბრძოლით ეკვეთებოდნენ და ისე აჩერებდნენ გერმანელთა იერიშებს. მათი მიზანი იყო რაც შეიძლება მეტი ზარალი მიეყენებინათ მტრისათვის. განსაკუთრებით დაჟინებითი ბრძოლა ჰხდება სკიდელოს რაიონში. რუსები განაგრძობენ წესიერ დახევას. ხანგამოშვებით კონტრ-იერიშებითაც უტევენ. ასე, მაგალითად, კოხოვთან, სკიდელის დასავლეთით, გერმანელები გაიქცნენ რუსთა კონტრ-იერიშების გამო. ნემანისა და პრიპიატის შუა რუსებმა დაიხიეს მდ. ზელვითანკის რაიონში, დაბა რუჟანისკენ. პრიპიატის მარცხენა ნაპირის გასწვრივ რუსები აჩერებენ გერმანელთა ცხენოსან ჯარის ენერგიულ იერიშებს კამნია-კარის გზიდან მოყოლებული პინსკამდე. კოვნოს გზით 26 აგვ. ბრძოლის შემდეგ რუსები იძულებულნი გახდნენ დაეხიათ. გერმანელები დიდძალი ლაშქრით უმთავრესად უტევდენ ოლივა-კლევენის რკინის გზით, ჯერჯერობით მდ. სტუბელისა და იკვის პოზიციებზე შეჩერებულ იქმნენ. გერმანელები შემოტევის დროს ჯარებს იფარავენ ძლიერი საარტილერიო ცეცხლით, რასაც რუსები აუწერელის მამაცობით იცავენ. სერეტზე ტრემბოვის სამხრეთ-დასავლეთით 25 აგვ. რუსებმა თავის მხრით შეუტიეს. მათი იერიშები ნელ-ნელ განვითარდა და გამარჯვებითაც გათავდა, როგორც ტარნოპოლთან. 25—26 აგვ. ტყვედ წამოიყვანეს 150 აფიცერი და 7 ათასი ჯარის კაცი, დავლად დარჩათ 3 ზარბაზანი და 36 ტყვიისმფრქვეველი. რუსთა დანაკარგი უმნიშვნელოა. გერმანელები საღამო ჟამს სწრაფად იხევდნენ მდ. სტრიპისკენ. საზოგადო გამარჯვებამ სტრიპზე რუსებს ტყვედ ჩაუყარა 383 აფიცერი, და 17 ათასი ტყვე. დავლად დარჩათ 14 მძიმე ზარბაზანი, 18 სუმბუქი, 66 ტყვიისმფრქვეველი და 15 გატენილი ყუთი. საზოგადოდ რუსის ჯარები მეტად მარჯვედ იქცეოდნენ და იმედიანად შეჰყურებენ მომავალს. ჩვენი ერთგული მოკავშირე საფრანგეთი აგერ ორი კვირაცაა რაც საშინელ არტილერიის ცეცხლით არ უსვენებს გერმანიის ფრონტს.

მისი იმპერატორობითი უმაღლესობა დიდი მთავარი და მეფის ნაცვალი კავკასიისა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

მეფის მოადგილე მათის იმპერატორობითი უდიდებულესობისა მათი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დაიბადა 1856 წელს. სწავლა დაამთავრა საგენერალო შტაბის ნიკოლოზის აკადემიაში ვერცხლის მედლით, 1876 წელს ჩაირიცხა საგენერალო შტაბში. რუს-ოსმალთა ომის დროს 1877—78 წ. საგანგებო საქმეებისთვის დანიშნული იყო დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძესთან. მათი უმაღლესობა მონაწილეობას ღებულობდა შიბკ[illegible] [illegible]ის ალებაში და სიმამაცისთვის დაჯილდოებულ იქნა ოქროს იარაღით, რომელზედაც ეწერა „სიმამაცისთვის“ 1893 წელს მიიღო გენერალ-ლეიტენანტობა და დაინიშნა დივიზიის უფროსად, 1899 წელს ებოძა წოდება მათი უდიდებულესობის გენერალ-ადიუტანტისა. 1901 წ. მიიღო კავალერიის გენერლობა და 1915-ში დაინიშნა მთავარ სარდლად პეტროგრადის ოლქის ჯართა და სახელმწიფოებრივ თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეობდა. 23 აგვისტოს ამა წლისა დაინიშნა კავკასიაში მეფის მოადგილედ.

ქალაქი და სიძვირე

ჩვენ უკვე ვწერდით იმაზედ, თუ როგორ ხელს უწყობდა თბილისის ქალაქის თვითმართველობა სიძვირეს და არა გაიაფებას სანოვაგისას*).

ჩვენ მივაქციეთ ყურადღება იმ უცნაურს მოვლენას, რომ ქალაქის მცხოვრეითა ინტერესების დამცველად გამოდის არა თვითმართველობა, არამედ პოლიცმეისტერი, რომელიც კრიჭაში უდგას თვით-მართველობის ქვენაგრძნობებს. მკითხველმა უნდა მოიგონოს ხორცის ამბავი, როდესაც ქალაქის გამგეობამ ჯერ გააძვირა ხორცი და შემდეგ ნიხრი იმ ნაირად შესცვალა კიდევ რომ მესამე ხარისხის ხორცს მეტი წაუმატა, ვიდრე პირველისას და მეორისას და ამით ღარიბებიდან აღებასა სცდილობდა იმას, რასაც შეძლებულებს უმატებდა. მკითხველმა უნდა მოიგონოს ფქვილის „კომბინაციაც“, რომლის საშუალებით ქალაქის გამგეობამ მოაგეიინა... სავაჭრო ბანკს, მოიგო თითონაც და აზარალა .. მცხოვრებნი. მოიგონოს შაქრის უცნაური ამბავიც, როდესაც ქალაქი აგებინებდა იმავ სავაჭრო ბანკს... ალბად რაღაც მეგობრული განწყობილებაა მათ შორის, იგებდა **თვითონ** და აგებინებდა **ვაჭრებს**, მცხოვრებთა გაყვლეფით.

ახლა ცხადდება, რომ ქალაქის გამგეობა, ბ-ნი ჯაბარის პირით, გამგეობის წევრის პირით, საქვეყნოდ სამართლიანად სთქვლით ასეთ წესსა. წაიკითხეთ „Кавказское слово“ № 195 და თქვენ არ გეცოდინებათ რა გაიკვირვოთ უფრო—ამ „ბაასის“ უტიფრობა, თუ თვით გამოაშკარავებულ ფაქტების უხამსობა. ვინმე პ. ტ—ოსთან ლაპარაკში ჯაბარი ამართლებს გამგეობას. ქალაქის ოპერაციები სანოვაგისა ერთნახევარ მილიონამდე ავიდა და ქალაქს კი სულ 15—16 ათასი მანეთი მოგება დარჩა და ისევ ქალაქს მოხმარდებაო. მართალია საბჭომ გადასდო 100.000 მანეთი ამ საქმისათვის, მაგრამ ეს ქალაქზე არის მხოლოდაო და რომ ვისესხოთ, %% რითი გადავიხადოთ თუ არ მოგებიდანაო. ბ-ნ ჯაბარისავით „გულუბრყვილო“ უნდა იყოს მკითხველი, რომ ასეთი „ფოკუზნიკობა“ დაიჯეროს. წარმოიდგინეთ მართლაც: ქალაქის გამგეობამ ერთნახევარ მილიონის სანოვაგე შემოიტანა თურმე და ამაზედ მოიგო 16 ათასი მანეთი, როდესაც **თვითონ არც ერთი კაპეიკი არც დაუხარჯავს და არც უსესხნია**, მაშასადამე მას აქვს საშუალება უსესხოდაც მოუარს ასეთ საქმეებს და სესხის პროცენტები სულ ტყუილი მოგონებაა. ის ვინც უსესხოდ 15—16 ათას მანეთის მოგებას ახერხებს სესხს მხოლოდ იმიტომ აიღებს, რომ 30—60 ათასი მოიგოს, ჩარჩულად, ვაჭრულად და განა ეს შეადგენს თვითმართველობის დანიშნულებას? „არ უნდა დავიიწყოთ, რომ ჩვენი ოპერაციები ფართოვდება და საოპერაციო ხარჯები იზრდებაო“, ამბობს ჯაბარი, თითქო ბავშვებმაც კი არ იცოდნენ უბრალო ჭეშმარიტება, რომ ოპერაციების გაფართოვება ხარჯს თუ ადიდებს ერთი პროცენტით, მოგებას ადიდებს ათი პროცენტით. და თუნდაც რომ ისეთი გამგეობა არა გვყავდეს, რომელიც არაარაობიდან 15—16 ათასს იძენს, განა 100,000 რომ ისესხოს, რამდენი %% უნდა მისცეს, რომ 15 ათასი წავიდეს ამაზედ? რომ ეს სიყალბეა, თვით ჯაბარის სიტყვიდანა სჩანს, რომელიც ამტკიცებს და ქალაქების ყრილობას და ფინანსისტებსაც იმოწმებს, რომ ქალაქმა **მოგებით** უნდა გაყიდოს სანოვხგეო; მაშასადამე პროცენტებიც ამ მოგებიდან იქნება გადახდილი, რომელსაც მოიტანს ნასესხი 100,000 მანეთი, და არა წინად დაგროვილიდან, რომელიც ამოღებულია მცხოვრებთა ჯიბიდან.

მაგრამ გავყვეთ ბ-ნს ჯაბარს: პოლიცმეისტერის ციფრები სწორი არ არისო, შაქარზედ ჩვენ ვიზარალეთო. ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი ზედმიწევნითი ცნობები, საიდანაც სჩანდა, რომ გამგეობამ მოიგო 22 ვაგონ შაქარზედ 10,000 მანეთი, ამდენივე მოაგებინა სავაჭრო ბანკს და ამდენივე მსხვილ ვაჭრებს ეხლა ჯაბარი სწერს, რომ შაქარზედ მილოვსაც მოვაგებინეთ 17—18 ათასი მანეთიო, ისე რომ ამ 22 ვაგონზედაც ხვდებოდა მილოვს ერთი 5—6 ათასი მანეთი. გაითვალისწინეთ ყველა ეს და თქვენ წარმოგიდგებათ ნამდვილი სურათი სავაჭრო ცარცვისა: **ჯაბარი** ყიდულობს შაქარს **მილოვისაგან** დიდი პარტიობით და მილოვი ამ „თავაზიანობისათვის“, როგორც ამბობს ჯაბარი, იღებს 18,000 მანეთს. მაგრამ ჯაბარი არც სხვა მოძმეთ ივიწყებს და ყიდულობს ამ შაქარს **სავაჭრო ბანკის** საშვალებით, რომელიც ამ „თავაზიანობაში“ თვითონაც იღებს 10—15 ათას მანეთს. მაგრამ **ქალაქის თვითმართველობა** ყველაზედ „თავაზიანი“ გამოდის, ის ყველას აჭარბებს და თავისათვის იღებს 22 ვაგონზედ მხოლოდ 10,000 მანეთს, მაგრამ სამაგიეროდ **ვაჭრებს გამყიდველებს** ეუბნება—შენც შეგიძლიან 10—15,000 მოიგო და ფუთზე 30 შაური მოიგოო. აბა გადახედეთ ხაზგასმულ სიტყვებს და თქვენ იქნება დაინახოთ ერთგვარ ვაჭრული ნათესაობა: ჯაბარი, მილოვი, სავაჭრო ბანკი თვითმართველობა და თვით ვაჭრები... რუსები რომ იტყვიან теплая, по... компанія.

ბ-ნი ჯაბარი თავის უტიფრობაში უფრო შორს მიდის და ხაზგასმით ამბობს, რომ ის შაქარი, რომელიც საზოგადო დაწესებულებათ და თვითმართველობას გადარჩა, ვითომ გაიყიდა **კოოპერატიულ ორგანიზაციათა საშუალებით**. ეს მტკნარი სიცრუე არის. ჯერ ერთი საუბედუროდ ქალაქში ასეთი კოოპერატივები თითქმის არ არის და მეორეც—გამგეობამ დანიშნა **40 ვაჭარი**, აბოვიანც, შიკანიანც და სხ. ამგვარებიდან მკითხველი კარგად დაინახავს ერთის მხრით ნათესაობას ზემო აღნიშნულ გვარებთან და მეორე მხრით კოოპერატიულ ორგანიზაციებთან, რომელსაც ასახელებს ჯაბარის სიტყვით ბ-ნი პეტ-ო.

ჯაბარი ამბობს ბოლოს, რომ კრიტიკისა არ გვეშინიან, მხოლოდ გვიკვირს, რატომ პოლიცმეისტერმა პირდაპირ ჩვენ არ მოგვმართაო. ვინც მოგმართათ (ბ-მა პეტამ) ასეთი ყალბი ცნობები მიეცით, გეტყვით ჩვენ, და პოლიცმეისტერი როგორღა გაიგებდა სიმართლეს. ეს კია, რომ სიმართლის გამოსარკვევად პოლიცმეისტერმა უნდა მოითხოვოს გამგეობიდან ყველა ის დოკუმენტები, რომელნიც დაამტკიცებენ ქალაქის მზრუნველობას სანოვაგის გაძვირებაზედ.

მოქალაქე.

უადგილო პოლიტიკა

როგორც გუშინდელ ჩვენს გაზეთის ფურცელზე ჩვენი კორესპონდენტი აგვიწერს აჭარის დღევანდელ მდგრმარეობას, სხვათა შორის, სასიამოვნო მოვლენადა სთვლის ბათომის გუბერნატორ რომანოვსკის სტუმრობას. ეს სასიამოვნო მოვლენა იმად არის „სასიამოვნო“, რომ მას ბევრი რამ აღუთქვია აჭარელთათვის, დახმარება, შუამდგომლობა, თქმა არ უნდა, ყველა ეს კარგია და სასიამოვნო,

მაგრამ კორესპონდენტი აქცევს ერთ გარემოებას ყურადღებას, რის დავიწყებაც შეუძლებელია. ეს მოვლენაც მას სასიამოვნოდ მიაჩნია. ჩვენ კი არ შეგვიძლიან კითხვის ნიშანი არ დავსვათ. საქმე შეეხება რელიგიის საკითხს. აქ აწერილია ჩეტნიკების მიერ გაძარცულ ეკლესიის ამბავი, მღვდ. ჩხიკვიშვილის მოხსენება, თუ როგორ სცდილობენ წირვა-ლოცვის საქმის მოწესრიგებას. სხვათა შორის უამბნია მაჰმადიან ოჯახში ერთ ხატის ისტორია. კილო მოთხრობისა ისეთია, თითქოს ჩვენი მღვდლები ერთგვარს მისიონერობას ეწეოდნენ, რაზეც გუბერნატორს მოწონებით ტაში დაუკრავს და დახმარებას დაპირებია საქმის წარსამართებლად. ჩვენის აზრით, ეს ფარული პოლიტიკა მისიონერობა, უადგილო და ყოვლად შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს. წავიდა ის დრო, როდესაც ერთა— შეჯახება, ერთა სიმპატია-ანტიპატია, ქვეყნების შერყევა რელიგიურს ნიადაგზე ჰხდებოდა. ეს ეპატიებოდათ ძველად, მაგრამ დღეს, როდესაც ყოველგვარ შემეცნების გარდაფასება მოჰხდა, კვლავ რელიგიის ნიადაგზე პოლიტიკის შექმნა უაზრო და შეუწყნარებელია. სიმპატიის ნაცვლად ჩვენ მტრობის მეტს არას დავიმსახურებთ. მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენი მოძმე აჭარელები მხოლოდ იმიტომ გაგვიფრთხოდნენ, რომ ჩვენ ქრისტიანები ვიყავით და ისინი კი მაჰმადიანები, ჰგულისხმობს იმას, რომ საჭირო არ არის ამ ძველ ფანატიკოსობის ბარომეტრის შეტრიალება, რათა ხელახლად არ გავთიშოთ და ახალი ჩვენი შემაერთებელი ხიდი კვლავ არ ჩაინგრეს. ნუ დავმალავთ იმ ფაქტსაც, რომ ოსმალთა ჯარების მოძრაობის დროს აჭარელთა შორის თუ ვინმე გადადგა იძულებით ან ნებით, ის ისევ ემისართა წყალობით მოჰხდა, რომელიც ფანატიზმის ცეცხლი დაანგზნეს და შიში აღუძრეს, თქვენი გაქრისტიანება ჰსურთო. განათლებულ და კულტურულ ხალხს ეს არ შეაშინებს, მაგრამ ისეთ ჩამორჩენილ ქვეყნებს, როგორიც აჭარაა და, საზოგადოდ, მაჰმადიანი ქვეყნები, რელიგია კიდევ დიდს ძალაშია და მის გარშემო შეგიძლიანთ ყოველისფერი მოახდინოთ. აი, სწორედ აქ გვსურს კორესპონდეტის „სასიამოვნო“ ამბავის ილლუზია გავფანტოთ და საჯაროდ ვსთქვათ, რომ თუ მართლა მამა ჩხიკვაძეებს მისსიონერობა უკისრიათ სამაჰმადიანოში ქრისტიანობის შესატანად, უწყოდნენ კიდეც, რომ ეს უადგილო პოლიტიკა იქნება, რომელიც წინ გადაეღობება ჩვენს ორი მხარის შეერთებას, შეკავშირებას.

ქართლელი.

ახალი ამბავი

სამადლობელო დეპეშა. თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა შემდეგი საპასუხო დეპეშა მიიღო გენერალ-ადიუტანტ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისაგან: „გთხოვთ მიიღოთ და გადასცეთ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ჩემი გულწრფელი მადლობა მოლოცვისა და კეთილ სურვილებისათვის“.

მეფის მოადგილის ჩამოსვლა. მეფის მოადგილის თანაშემწეს გოფმეისტერს ბ-ნს პეტერსონს შეჰკითხებიან,—როდის ჩამობძანდება თბილისში მეფის მოადგილე, დიდი მთავარი ნიკოლოზ

---

*) იხ. „საქართველო“ № 44.

164 ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდოეთის ცნობილი მგოსანი **რაბინდრანათ თაგორე.**

ძველი დოვლათი დაილია.

ნარსულის კვალი და მომავალი „ბედის-წერა“

„მსოფლიო ომი“, „მსოფლიო კატასტროფა“ და კიდევ ბევრი რამ, უკვე ერთ წელზე მეტია პირს მოეკერა ყოველ ჩვენგანს, და დღე-მუდამ ამას ვიმეორებთ. მასსიურმა პსიხოზმა მოიცვა ჩვენი არსება, და ჩვენც ანთებული გრძნობით, დაჭიმული ძარღვებით, ველით დასასრულს. რა იქნება? რა მოხდება? საით მიტრიალდება ცხოვრების ბორბალი, ან რაზე შეჩერდება?—აი ის კითხვათა ჯაჭვის რგოლები, რომლისკენაცაა მიპყრობილი ჩვენი გონება. ყოველივე გადასხვაფერდა. სათნოების და კაცთმოყვარეობის მქადაგებელი დღეს ომის ღვთიურობას ჰქადაგებს, გუშინდელ მცნების ქვეშ დღევანდელს ათავსებს, ვერ ამჩნევს წინააღმდეგობას. მოაზრე-ფილოსოფოსი, აქამდე განმარტოებული თავის კაბინეტში, მისტიურ რამ საშუალებით რომ ეზიარებოდა იმ მხარეს ტრანსცენდენტურისას, დღემდე ცივი და დინჯი ვით ოლიმპი, დღეს უკვე არღვევს ჩვეულ სიდინჯეს და ცეცხლებრივ მრისხანე სიტყვებით სწერს... საგაზეთო წერილს. ბრძოლად ეძახის. გუშინდელი საკაცობრიო სამკაული, მაღალ ხელოვნების ნიმუში—განძი, დღეს ნანგრევებსღა წარმოადგენს, სადაც კედელთ ნაპრალებში ქარი დასისინებს და ფერფლს ჯერ თბილს ჰაერში ჰფანტავს. გუშინ მოვლილი და შელამაზებული ქალაქები, დღეს მკვდართ სამეფოს-ღა წარმოადგენენ; ველ-მინდვრებზე კი, მშვიდობიან გუთნის მაგივრად ზარბაზანთა ქარავანი მიეშურება. მშვიდობიანი მხვნელ-მთესველი იარაღში ჩამჯდარა და იბრძვის. ეკლესიებსაც ჩამოხსნეს ზარები და კრუპის ან სხვათა ქარხნებში გაგზავნეს ჯადო რამ მორტირების ჩამოსასხმელად. მთელი დედამიწა სისხლით დამბალა, დიად სამსხვერპლოდ ქცეულა, სადაც ყოველივე ცოცხალი მსხვერპლად იწირება. ატილლა სისხლის მღვრელი, თუ დღევანდელი დღე—ეკითხები შენს თავს, და გაოცებით შესცქერი იმ ბოგირს, რომელსაც 25 საუკუნე ეწოდება, და რომელიც გვაერთებს ძველ სისხლის მღვრელ ხელოვანთან. კულტურა? პროგრესი? სოციალიზმი? თითქოს უსუსურნი აღმოჩნდენ! თითქოს ერთი შეხედვით დაიმსხვრნენ კიდეც და შეგვრჩა მხოლოდ შიშველ სული ადამიანისა, მის ველურობაზე მეტყველი. ხოლო რომაელთა ანდაზა: „კაცი კაცისთვის მგელიაო“,—ეს ქანდაკდება გარკვევით. „მითხარით, მთელ ბუნებაში სადა ვნახო, რომ იხმარებოდეს ლიბერალური და ჰუმანიური კანონები სამართლიანობისა!—მე ეს არ ვიცი. ბუნების საზოგადო ეკონომიაში აუცილებლად ჰხდება, რომ ერთნი სცოცხლობენ და იკვებებიან მეორეთი. მთავარი ძალოვნება ყოველი სიცოცხლისა ის არის, რომ მაღალი და უფრო ძლიერი ორგანიზმი ჰყლაპავს დაბალს და სუსტს (ჟოზეფ-დე-მესტრი). და მართლაც გადახედეთ ცხოვრებას, გადაშალეთ ისტორია კაცთა არსებობისა, თითქოს რაღაც საბედისწერო ხმალი დაკიდებულა ცხოვრების თავზე. თითქოს ცხოვრებას სარჩულად უძევს რაღაც კანონი ურთი-ერთ ქლეტის, თითქოს ცხოვრებას ასაზრდოვებს კაცთა ლეშები, თითქოს წყურვილს უკლავს კაცთა სისხლი, თითქოს საცხოვრებელ ჰაერისთვის აუცილებელია ელემენტები სიავისა და მტრობისა. რამდენი რამ შეჰქმნა ადამიანმა, მაგრამ მაინც ატილლას ვეამხანაგებით. როგორ? მაშ პროგრესი აღარ არსებობს? მაშ ეს თითქმის ელემენტარული ფილოსოფიური ჭეშმარიტება ზმანება გამოდგა? თითქოს მსოფლიო მატიანეს თეთრ ზოლად ადამიანის სიხარულიც გასდევს, უკეთესის მოლოდინით გამოწვეული? ან იქნებ რაიმე საბუთი აქვთ უკმეხ სკეპტიკოსებს, პროგრესიულ მისწრაფებებს რომ უარყოფენ, და ერთი ხელის ჩაქნევით ასამარებენ კაცობრიობის ხალისიან ლტოლვას? ვნახოთ. გაკვრით თვალი გადავავლოთ ისტორიულ მიმდინარეობას, მოვახდინოთ მოკლე ექსკურსია და მისდა მიხედვით დავასკნათ, თუ როგორია პერსპექტივა მომავალი „ბედის-წერისა“.

გეოლოგიურ პერიოდებიდან ლარის გამოყოლება არ არის საჭირო. საკმარისია ის ხანა, როდესაც ცხოვრების სცენაზე გვხვდება ადამიანი არა უენო მაიმუნის სახით, არამედ განსაზღვრულ სოციალ იერ გადაკრული. უპირველესად ჩვენს ყურადღებას საარსებო ბრძოლა მიიპყრობს, რომელიც ძველიდამ დღემდე ზედმეტად მწვავე ხასიათს ააშკარავებს. ადამიანი იბრძვის და თანდათანობით ბრძოლის ახა-ახალ ფორმებს იმუშავებს. „და რადგანაც თვითეული კაცი იცნობს მხოლოდ თავის თავს, რადგანაც თვითეული მუდამ სხვასთან განხეთქილებაშია, ამიტომ აუცილებელია ბრძოლა პირველობისთვის“ (შტირნერი). ამიტომ სწარმოიებს ბრძოლა—ძველიდამ დღემდე. ხოლო თუ ძველად ადამიანი საარსებო პურს ეძიებდა, დღეს მას ფართე ველი და მრავალ ფრონტზე უხდება ბრძოლა. არც შეიძლება სხვა-გვარად. ბრძოლა, ეს ყველაზე საჭირო ელემენტია ცხოვრებისა. იგი ფრიად საჭირო იარაღია, რომლის საშუალებით შეიძლება ცხოვრების წინ-წაწევა, ამაღლება, გაფაქიზება. ყოველი ნაბიჯი ადამიანისა,—ბრძოლაა. თვით შემოქმედებაც კი, თვით ხელოვნება—ეს ბრძოლის კანონიერი შვილია. იგი თავის არსებით ებრძვის ყოველივე არა-ხელოვნურს, რომ თვით მიიქციოს ყურადღება. მეცნიერი, კაბინეტ-ლაბორატორიებს რომ არ სცილდება, ფორმულათა რკვევით რომ საზრდოვობს, იგიც მებრძოლია. იგი რომ ჩაჰკირკიტებს მიკროსკოპებს, რომ სცდილობს კანონების აღმოჩენას, ყველა ამას უმეცრებასთან საბრძოლველად მოიქმედებს. ადამიანი იბრძვის და ამ ბრძოლაშია მისი სიცოცხლე. მას სურს მოვლენათა ქაოსი მწყობრ ჩარჩოში მოაქციოს, წესრიგში მოიყვანოს.

მაგრამ აქ უნდა განვსაზღვროთ აბსტრაქციული რამ მცნება „ბრძოლა“ და მისი კონკრეტი სახე. დღეს ჩვენ მხოლოდ კაცთა-შორისი ბრძოლა და მისი ფორმები გვაინტერესებს; ის ბრძოლა, რომელიც სოციალ-პოლიტიკურ ჩარჩოში არის მოქცეული. ოგიუსტო კონტის აზრით, ადამიანის მოქმედება სამ-ხანას გაივლის პირველია—მეომარ-დაპყრობითი, მეორე—მეომარ-მოგერებითი და მესამე—მშვიდობიან-წარმოებითი. პირველი ყოველთვის უკანასკნელისაკენ მიისწრაფვის, და ამ მისწრაფებაში მეორე ხანის გავლაც უხდებაო. აქ ჩემი აზრით სამი ხანა კი არა, ორი ხანაა, სახელდობრ: პირველი და უკანასკნელი. კონტის მეორე ფაზა, ეს პირველის კუთვნილებაა. როგორ შეიძლება არსებობა მეომარ-დაპყრობით ფაზის, თუ იქვე მოგერება არ ვიგულისხმეთ? ეს კი ერთი ფაზაა და არა ორი.

ცხოვრება

VI

რაც ღვთისოს ბიჭი მოუკვდა, მას შემდეგ მისი შუბლიც აღარ გახსნილა. უბედურება თითქოს განგებ ფეხდაფეხ მისდევდა, რომ უფრო მეტად ჩაეზილნა მწვავე წიხლებით. მალე სიდედრმაც თქვენი ჭირი წაიღო: წელთა ტვირთს და შვილი-შვილის დაკარგვას ველარ გაუძლო. მის დასამარხავად ღვთისომ კეთილად შეძენილი კალო-საბძელი გაჰყიდა; აქაო და ცხენის ყელზეა შეგდებულიო, სულ მუქთად ჩაიგდო ამ სოფლის ფრთხილმა დარაჯმა მედუქნე სედრაკამ. მის მეტს სოფელში ფული აღარავის მოეპოვებოდა და რა მეტი ჯანი იყო, ისევ იმისთვის უნდა მიემართნა.

ღვთისოს გაოცებას ზაზღვარი არა ჰქონდა, როცა თავს დაუკვირდა და ახალ საკითხს წააწყდა. სრულებით ვერ მიმხვდარიყო, თუ რად ჰხდება, რომ ვიღაც, საიდანღაც მოსული, ქეციანი მესაცრეები ეხლა მთელ სოფელს პატრონობდნენ. ჯერ პატარა ბიჭობიდანვე ახსოვდა, თუ სედრაკა როგორ ღატაკი ეწვია სოფელს, საცრები ძლივს დაასაღა. ეხლა? ეხლა კი სოფლის თავი კაცი იყო. საუკეთესო ვენახები მისი გახდა, გააშენა ხილის ბაღები, ხვადაბუნებმა ოქროს ფერად იწყეს ღაღანი. და ყველა ეს ისე ხდება ჩუმად, შეუმჩნევლად, რომ სედრაკას თითქოს ხელის განძრევა არც კი სჭირდებოდა.

ღვთისოს ცოტა რამ დარჩა სანუგეშებლად, მაგრამ რაც დარჩა ისიც მოუღოდნელმა ცეცხლმა დასწვა. ეს მოხდა კალოობა დღეს. ხიზან ოსს შური ეძია მებატონისა, მის საბძელს ცეცხლი წაუკიდა, ამასობაში ზეკარამც დაჰკრა და ცეცხლი ერთი საბძლიდან მეორეზე გადაიტანა, შემდეგ სოფელსაც მოედო და ერთი ვაი-ვაგლახი გაიმართა. გადიბუგა ზამთრის სამზადისი. საქონელი ბღაოდა. დედაკაცების წივილ-კივილს საზღვარი არა ჰქონდა. ღვთისო და მთელი სოფელი ვეფხებად გარდაიქცნენ, მაგრამ სტიქიას ღოჯი ვერ მოსტეხეს, ვიდრე მან თვისი საქმე არ შეასრულა.

ღვთისოს ეხლა ახალი საკითხი აღეძრა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. სოფელს, მართალია, დახმარება აღმოუჩინეს, მაგრამ კომლზე ისე ცოტა რამ მოვიდა რომ კუჭს არავის არ გაუძღობდა. ამიტომ იყო, რომ ბევრმა სოფელს გაანება თავი და მეორე მოსავლამდე ქალაქებს მიაშურეს, სადაც ამბობდნენ, სიცოხლე სდუღს და გადმოდისო. ქალაქი ოქროს მადანია, ოღონდ ადამიანმა ხელი გაანძრიოს“,—ეყურებოდა ღვთისოს. როდესაც მან ძარღვიან მკლავებზე დაიხედა, იმედი მოეცა, თუკი მაგრეა, ბედს როგორ შეუშინდები, კაცი ვარ და ქუდი მხურავს, წავალ და მელანოს დაკარგულ ბედნიერებას დაუბრუნებო. მართლაც, რა უნდა ყოფილიყო ისეთი რამ, რაც ღვთისოს მკლავებს გასძნელებოდა? მაშ მშვიდობით საყვარელო მინდვრებო, სადაც ღვთისო მეფესავით დაგტრიალებდათ! ეხლა თქვენ მას ველარ იხილავთ, თქვენ ვერ მოაჯადოვებთ თქვენი კეკლუცი ზმანებით, საკმეველთა სურნელოვნებით.

— ქალაქისკენ... ქალაქისკენ!..

ეს იდუმალი ხმა ათას აღთქმით გააბრუებდა. მაშ მშვიდობით შენც, ანკარა წყაროვ! აბა შენ იცი, როგორ მოჰხიბლავ ღვთისოს მოადგილეს, როგორ გაუთამაშებ თეთრმკლავიან შიშველ ფერიებს, რომ გველისავით მკერდზედ აუცურდნენ და გულში ჩაასხან შხამი, როგორც მის ბრმა ნდობის ჭურჭელში. ხოლო როცა პირთამდე აავსებთ მათ, როდესაც გაბრუებულს ოცნების გული გაუფრინოთ, თქვენ ნუ შეგაშფოთებთ მისი კითხვა: „რად ხდება ასე?“—კვლავ დინჯად, ასეთის უზრუნველობით იკითხეთ და მიუთითეთ უცნობებისკენ:

— ქალაქისაკენ... ქალაქისაკენ!..

მაგრამ რატომ იყო, რომ სოფელიც ველარ დაეთმო? რა ერქვა იმ ძალას, რომელიც ანდამატსავით ეწეოდა ღვთისოს გულს და ისევ სოფლად დარჩენას ემუდარებოდა? გული აუტირდა. რატომღაც ეგონა, სოფლიდან გაშორებით რაღაც საყვარელი რამ უნდა დაემარხნა, სამარადისოდ გამოსთხოვებიყო რაღაც სანუკვარს, მიუწდომელს, რაიც ასე თავგადაკრული ქვითინით და უსაზღვრო ალერსით სთხოვდა შინ დარჩენას. ამიტომ იყო, რომ ღვთისო ყოველს გარდაწყვეტილებაზე თრთოდა, საშინელებას ვერ უძლებდა. თვით ფიქრიც კი ჰზარავდა, ის ფიქრი, რომ შამა-პაპათა სასაფლაოს და შვილის წმიდა ფერფლის სამარეს სამარადისოდ დაჰკარგავდა.

— არა, არა, ისევ აქ სიკვდილი სჯობს... ვის რად უნდა ავუტანო ეს სამგლე ძვლები! არც წინად მქონია რამე, ნურც ეხლა მექნება. თუ მაშინ შიმშილით არ მოვკვდი, არც ეხლა მოვკვდები. თუ მოვკვდები და ი შვილის გვერდით მაინც დამმარხვენ...

მაგრამ ცხოვრება თვისას უკარნახებდა:

— ქალაქისაკენ... ქალაქისკენ!

მართლაც, ღვთისო ყოველ დილით ჰხედავდა, რომ სოფელი ცალიერდებოდა. ვისაც კი მუშაობა შეეძლო, ბარგიბარხანა აიკიდა, ზოგმა კიდევ ასე ცარიელ-ტარიელად გაჰკრა ხელი და ჭიათურას, ბაქოს და ნამეტნავად თბილისს ეწვია. ბევრი კიდევ მიდიოდა სხვებთან ერთად ბედის საძიებლად. თავშალში ერთ-ორდღის საგძალს გამოჰკრავდნენ და ეს იყო და ეს.

მრავალთა შორის ღვთისოც მოჰყვა. ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მზე ჩვეულებრივ ზეიმს იწყებდა, როდესაც მცენარე, მღილი „მრავალჟამიერს“ მოიმღეროდა გამალებული, ჩვენი ღვთისო ზლაზნით წამოიწია, ქოჩორი მოიფხანა, ფიქრში გართულმა ხელი ჩაიქნია და მელანოს გაეხმაურა.

— ქალო, საჭმელი ხომ არა გვაქვს რა?

— რა იყო?

— არაფერი...

— მაინც?

— უნდა შევნაყრდე და წავიდე.

— სად?

— სულ ერთია, სადაც სამუშაოს ვიშოვნი...

მელანოს გული დაეთუთქა, იცოდა რასაც მოასწავებდა ეს ხმა. მჭადი მოიტანა. შენაყრდნენ.

როდესაც კარში გამოსული ღვთისო შენიშნა მეზობელმა გამოკრულ წითელ თავშლით ხელში და განცვიფრებით შეეკითხა, სად მიხვალო, მან ნაღვლიანად უპასუხა:

— იქ, ქალაქში...

მეზობელს გული დაეტანჯა.

— არა, სვიმონ, შენ იცი და შენმა ღმერთმა, თუ მელანოს უპატრონებ... მეც არას დავზოგავ... ვიმუშავებ და შენს ამაგს კი არ დავივიწყებ...

VII

პირველად რო ზღვა ქალაქში ამოჰყო თავი., სულ ერთიანად აირია. მას ყოველისფერი თვალსა სჭრიდა. უკვირდა ჭიანჭველისებური ფუსფუსი, შეუჩერებელი მოძრაობა. ერთი რამ უკვირდა კიდევ: უზრდელობა. ვისაც ქუდი მოუხადა გამარჯობა უთხრა, ზედაც არავინ არ შეხედა. ამისთვის არავის ეცალა, უცნაურად აჩქარებული ნაბიჯით გვერდით უვლიდნენ.

— რა ხალხს შევეყარე, აბე—იძახოდა ღვთისო,—რა მილეთის ხალხი ყოფილა!

მაგრამ საოცარზე საოცარი ის იყო, რომ აქ ყოველისფერი ნახა და ის კი ვერა, რაც ასე გულით ენატრებოდა.

— წადი და ამტვრიე კაკალი, ვისთან მივიდე, ვის მივმართო?

მოსაღამოვდა და ბინა ჯერაც ვერ ეშოვნა. საქმე იმითი დამთავრდა, რომ პოლიციელებს ხელში ჩაუვარდა. მოსთხოვეს პასპორტი, ეკითხებოდნენ ვინ არის, საიდან, ან რად მოსულა ღვთისო კი ამრეზილი უპასუხებდა:

თუ ქრიტიანი ხალხი ხართ, თავი დამანებეთ, კაცო, ვის გიშლით, რა ბაშფორთი, რის ბაშფორთი. კაცი ხომ არ მომიკლავს, რა დამიშავებია!

თითქმის ორი კვირა ახეტიალეს, გაგზავნეს მაზრის უფროსთან, აქედან დაბის ბოქაულთან, ბოქაულმა თავის საერაიონო მამა-სახლისს გადასცა და როდის გამოარკვიეს, რომ ეს ყაჩაღი არა ყოფილა, არამედ ერთი საწყალი გლეხი.

მხოლოდ ეხლა დაფიქრდა ღვთისო, ე რა წყეული ხალხი ყოფილა დუნიაზეო, და გადასწყვიტა, სულაც აღარსად წასულიყო. მაგრამ ცხოვრებამ თავისი მოითხოვა. სამაგიეროდ ერთხელ შეცდომით გადადგმულმა ნაბიჯმა ეხლა გამოცდილება შესძინა. ჯერ ყოველისფერი იშოვა, რაც კი საჭირო იყო, გზირ მამასახლისიდან მოყოლებული, ასე ვთქვათ, თვით „ხენწიფემდინაც“ კი იარა და პასპორტი კი გამოიკრა და ასე დარაზმული გაემართა მეორედ ქალაქისკენ. უნდა შევნიშნოთ, რომ ჭკუაც მეტად მოიხმარა. ეხლა პირდაპირ შუა ქალაქს კი არ მიაშურა, არამედ განაპირას, ნაძალადევში. იმ დროს ეს უბანი ახლად

თუ დავაკვირდებით ცხოვრების მიმდინარეობას, სწორედ ამას დავინახავთ, რომ არსებობს დაპყრობითი სურვილი და აქედან გამოწვეული მოგერებითი ამოძრავება. მშვიდობიან-წარმოებითი ფაზაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. იგი ჯერ მხოლოდ სასურველ კატეგორიის სახეს ატარებს.

მაშასადამე არსებობს ერთეულთა შორისი ბრძოლა. კაცი იქნება იგი ერთეული თუ ჯგუფი, ეს საქმის ვითარებას არ სცვლის. ჯგუფიც ერთეულია, ისე რომ უნდა ვიგულისხმოთ ბრძოლა პიროვნებისა—პიროვნებასთან, ჯგუფთან, და ჯგუფისა—ჯგუფთან. აი ამ ელემენტთა მოძრაობა ჰქმნის ისტორიას. ისტორია სხვა არა არის რა, როგორც ფაკტთა კრებული, ადამიანთა ცხოვრებიდან ამოკრეფილი. ისტორია არის გაბმული ლენა კაცთა ცხოვრებისა, განუწყვეტელი ჯაჭვი კაცთა მოქმედებისა და შემთხვევებისა. თუ წარსულის კვალს გვაინტერესებს, ისტორიის ფურცლები უნდა გადავშალოთ. ისტორიული სინამდვილე როგორც გარკვევა-შესწავლის საგანი, ზედმეტად ვრცელია, საზღვარ-დაუდები. მაგრამ თუ ჩაუკვირდებით, უსათუოდ აღმოვაჩენთ იმ ღერძს, რომლის გარეშემოც ტრიალებს ისტორიის ბორბალი. ეს მთავარი ღერძი პიროვნებაა, ადამიანი. ამ შეუჩერებელ პროცესში, ადამიანი გამუდმებით თავს უტრიალებს საკუთარ პირადობას, და სცდილობს კმაყოფილების გარს შემოხვევას. ამ გაბმულ მოქმედებაში იგი ჰქმნის სხვა და სხვა ღირებულებას, პირად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ისტორიულ ფაკტთა ოკეანე პიროვნების გარშემო ჰპოულობენ ადგილს. მიზეზი—ადამიანია. ადამიანი კი თავისა მსგავსთა შორის სცხოვრობს, რამაც მისცა საშუალება ნატურალისტებს ეთქვათ, რომ ადამიანი საზოგადო ცხოველიაო. მაგრამ ადამიანი კი არ არის საზოგადო ცხოველი, იგი ისეთი არსია, რომელიც ყველას და ყოველივეს პირად სურვილების დასაკმაყოფილებლად ამოძრავებს და თვითონაც მოძრაობს. ამ გვარად ამოძრავებული კი საზოგადო ცხოველის სახით გვევლინება. საზოგადოება—ეს კრებულია პიროვნების, რომელნიც ერთი აზრით არიან ამოძრავებულნი. ეს მათი „მე"-ა. და ყოველი მათგანი ებმევა ამ საზოგადო უღელში მიტომ, რომ სურს შეერთებული ძალით მოიტანოს ის კეთილდღეობის ნალო, რომელსაც ერთი ძალა ვერ მოიტანდა. ამ გვარ პირობებში კი საზოგადოება რაღაც მძლედ დუღდება, მტკიცდება და თითქოს ორგანიზმის სახითაც გვეჩვენება, რომელიც იბადება, იზრდება და კვდება. ამ შედუღებას კი ნების შექმნა მოსდევს თან, საზოგადო ნების განმტკიცება. და როდესაც ვეხებით კაცთა სოციალ-პოლიტიკურ ისტორიას, უნდა გვახსოვდეს, რომ საქმე გვექნება ამ სოციალ ნებასთან, მის ევოლიუციასთან. სოციალი პოლიტიკა მხოლოდ ამ სოციალ ნების ფუნქციაა. ხოლო მთავარი მამოძრავებელი მოტივი კი ერთი აქვს. ეს არის შეგნება გვაროებისა. ყოველმა სოციალმა კრებულმა, შეჯგუფების ფიზიკურ პროცესის შემდეგ, ეს შეიგნო და სწორედ ამ შეგნებამ შეუქმნა მთლიანი ნება, ყველგან თავის-და სასარგებლოდ რომ ცნაურდება. ეს აბტრაქციული ნება ჰქმნის სხვა და სხვა პირობებს, ნორმებს, რათა მათი შემწეობით შესძლოს ბრძოლა საარსებო.

* * *

როგორც მოვიხსენიე, ადამიანთა შეკრება, მათი ერთ უღელში შებმა ჰქმნის ახალ ფორმებს ზიარი ცხოვრებისას, ზნე ჩვეულებებში, დადგენილებაში და სხ... მათი საშულებით ხორციელდება შეძლებისამებრ ის საერთო აზრ-სურვილით შექმნილი მიზანი, რომლისაკენაცაა მიპყრობილი საზოგადოების გული-ყური. სწორედ ეს სურვილი ადამიანების არის უმთავრესი ფაქტორი ისტორიისა. ხომ საზოგადოებას შექმნა-განმტკიცებას ადამიანის სურვილი უძევს საარჩულად. იგი ჰხედავდა, რომ თვალ უწვდენელ სამყაროში მარტოდ მარტო ისე ვერ დაირჩენდა თავს, როგორც სხვებთან ერთად, და შეეცადა მდგომარეობის შემსუბუქებას. მას ჰქონდა სურვილი უკეთესისა, და ამ სურვილს კი ათასი რამ დაბრკოლებანი წინ ეღობებოდა, რომლის მოსატეხად არ ჰკმაროდა პირადი ძალ-ღონე. აქედანვე იწყობა კაცობრიობის პროგრესიც. ხალხს არ შეუძლიან შეერთებული ცხოვრება ისე, რომ არ ჰქონდეთ შემუშავებული წესი მოქმედებისა. თუ საზოგადოებამ არ ალაგმა მავნე მოვლენა, იგი საზოგადოება მალე მოისპობა. და აკი საზოგადოებაც ჰქმნის კანონებს ზნეობრივს, იურიდიულს და სხვა გვარ ზღუდეებს. მაგრამ საზოგადოებრი ცხოვრება ხომ გაყინულ წერტილზე არა სდგას. არც თუ ერთდროულ რამ მოვლენას წარმოადგენს. იგი არის ზედ-მეტად მოძრავი, დღე-გრძელი. მას არხევს სხვა და სხვა გვარი მომქმედი მოვლენანი და მათ-და მიხედვით იცვლება საზოგადო დადგენილებანიც. იგი ვითარდება, და უკეთესდება კიდეც. ეს კი საზოგადოების სტრუქტურის მეტ სისრულეში გამოიხატება. არა მარტო ზრდა, არამედ ორგანიზაციის უკეთესად მოწესრიგება, მოქმედების გაუმჯობესება,—აი ეს არის პროგრესი. რასაკვირველია, ეს მხოლოდ უსრულო ფორმაა პროგრესისა, მაგრამ მისი საზოგადო სახე მაინც ამას იქით აღარ მიდის. საზოგადოებრივი ცხოვრება კი ისეთ კალაპოტში მიმდინარეობს, რომელიც უმთავრესად შესდგება იურიდიულ, პოლიტიკურ, ეკონომიურ, ზნეობრივ და სხ... მომენტებისაგან. მაშასადამე საზოგადოების პროგრესიც ამ უკანასკნელთ ზრდაში და გაუმჯობესებაში უნდა გამოიხატოს. უნდა გაფართოვდეს ფუნქციები ადმინისტრატიული, წარმომადგენლობითი, ბჭობითი და აღმასრულებელი. რამდენადაც ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრება, იმდენად რთულდება საკითხებიც. თუ შევადარებთ დღევანდელ ცხოვრებას ძველ ცხოვრებასთან, ზრდას და გაუმჯობესებას აუცილებლად შეკატყობთ. თუმც არიან სკეპტიკოსები, რომელნიც უარ-ჰყოფენ ამ აზრს, თუმც დიდი კითხვითი ნიშნის ქვეშ სვამენ პროგრესის არსებობას, მაგრამ მაინც მათი აზრი გაყალბდება, თუ კი მათ დაუულებას ცხოვრების პირს მიუყენებთ, ხომ არსებობს კერძო, რეგრესიული მოგლენანი, ამის უარყოფა არც შეიძლება, მაგრამ ინდუქციით აშენებული მსჯელობა კი უდღეური გამოდგება. ავიღოთ საზოგადო ცხოვრება პირველ-ყოფილი, ანტიური, საშუალო და დღევანდელი. ცვლილებებსაც ადვილად დავინახავთ.

(შემდეგი იქნება)

ვახტანგ კოტეტიშვილი.

ისტორიული პლატონ იოსელიანი.

პ. იოსელიანი რუსულს ენაზე მწერლობდა და ხშირად ბეჭდავდა რუსულ წიგნებს ისეს დროს, როცა საქართველოში, ქართველთ შორის, წიგნების ბეჭდვის საქმე ჭაჭანებადაც არ იყო. რაკი 1837 წ. ს. დოდაშვილის ქართული სტამბა დაიკეტა და თვით ს. დოდაშვილიც რუსეთში იქმნა გადასახლებული, მის შემდეგ საქართველოში აღარც ქართული სტამბა არსებობდა და აღარც ქართული წიგნის ბეჭდვა იყო. მთელი თბილისი რომ გევლოთ, ერთ უბრალო ქართულ ანბანის წიგნს ვერ იპოვნიდით. პირველი ასგალითი გახლდათ, რომ 1841 წ. პ. იოსელიანმა ქართული კალენდარი ანა გრამატიკა დაბეჭდა სახალხოთ. 1844 წ. ქართული ანბანიც გამოსცა, ესეც სამაგალითო საქმე იყო, რადგანაც მთელ ქართველ ერს ერთი ანბანის წიგნიც არ აქვნდა.

ასეთ წიგნებს გარდა, თვით საეკლესიო წიგნები და ნამეტურ სახარება, დავითნი და სამოციქულოს ხსენებაც ხომ 1850 წლების შემდეგ ჭაჭანებად გახდა. ასეთი წიგნების ბეჭდვა სამღვდელოების საქმე იყო, ხაგრამ იგინიც აღარ მისდევდენ მათ ბეჭდვას, რადგანაც უმეტესად ეკლესიებში სლავენურად იწყეს კითხვა, საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველ მღვდელ-მთავრებ დაავიწყდათ ქართულად მღვდლისა და მთავრის კურთხევის წესიც და იგინი ქართველ სასულიერო პირებსაც სლავენურად აკურთხებდენ.

ეს მღვთის საქმე და მღვთის წიგნების შოვნა ისე გაძნელდა, რომ მხედრულად დაბეჭდილი სახარება 5 მან. იყიდებოდა, დავითნი 3 მან , სამოციქულო 3 მ., დაბადება 30 მ. და სხვა. ერთის სიტყვით ისტორიული საძირკველი, რაზედაც შემდეგ აღმოცენდა მდიდარი ისტორიული სკოლა და რუსულს ენაზე განმტკიცდა საქართველოს შესახებ ისტორიული წიგნების წერა და ბეჭდვა, საქართველოს ჯეროვანად გაცნობა.

ჯერ დღეს რა არის და მაშინ ხომ საქართველოს რუსები და რუსის მთავრობა სულ არ იცნობდა, ჩვენ შესახებ მათ ბევრი არაფერი იცოდნენ, მაგრამ ისიც კი უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენის ცხოვრების და ისტორიის მცოდნე არცარა ჩვენ ქართველები გახლდით, ქართველობას მაშინ საღათას ძილით ეძინა, ხანდისხან კი ძილს გამაძღარნი ქეიფს ეძლეოდენ და თავიანთ აუარებელ თბილისის ქონებას უბრალოდ ჰფლანგავდენ. ჩვენ რომ ასეთი მკვდრები ვიყავით და ჩვენს მამებსაც რომ ღრმად ეძინათ, ესა სჩანს შემდეგის გარემოებიდან:

სოლოლაკი და მისი ბაღები მთლად ბარათაშვილების იყო, მაგრამ 1820 წლებიდან დაიწყეს მისი გაყიდვა და 1870 წლამდე სულ დაყიდეს. აწინდელი ქართველ თავად-აზნაურთა ქარვასლა პ. ციციშვილის ნათესავმა თავ. ციციშვილმა გეურქ აღა არწურუნს 6000 მან. მიჰყიდა, მერე კი ეს ქარვასლა მისმა შვილმა ამავ თავად-აზნაურთა ბანკში 200 ათას მანეთში დააგირავა. აწინდელი თამამშოვის ქარვასლის ალაგი ესტატე ციციშვილმა გაყიდა ორ დოშათ და ორ კაცის საკაბეთ. აწინდელი კავკაზის სასტუმროს ალაგი ამავ ციციშვილის ძმისაგან გაყიდულა ორ ვერცხლის კულაში. ვერაზე ერთ სომეხს გაბაშვილისაგან 1000 მან. დარჩა რამდენიმე ათასი საჟენი კარგი ადგილები. კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, ერთ სომეხს 1000 მ. დარჩა რამდენიმე ათასი საჟენი ალაგი, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, სადაც დღეს ორიანტის სასტუმრო არის, იგი ერთ სომეხზე გაყიდულ იქმნა 60 მან. მთელი ორთაჭალის ბაღები ქართველებისა იყო, დღეს კი იქ მხოლოდ ერთი ბაღი-ღა არის ქართველის ბერიევის, დანარჩენი სულ დაყიდეს უბრალო ფასებში თბილისის სომხის მოქალაქეებზე. საქმე ისე უკუღმართად წავიდა, რომ მთელი თბილისი ქართველობას ხელიდან გამოეცალა. ამ გარემოებას პოეტი ვახ. ორბელიანიც სწორედ აღნუსხავს და სწერს ასე:

„ამ რუსეთ [illegible] ქონა ნაჭერ-ნაჭერ
[illegible] ყიდიან,
ზოგთა თვისი ქონება ბითურ ცხრაში
წააგეს" და სხვა.

ასეთ ხანაში ვიყავით, ასეთ საღათას ძილით გვეძინა და ვისპობოდით ჩვენის დედა ქალაქის ასპარეზიდამ.

ასეთ დროს, ასეთ უძლურ ხანაში, როცა ქართველთ ფუქსავატების გარეშე, ცარიელები იყვნენ ყველაფრით და ნამეტურ ქართულის მწერლობით. კურთხეული ჩვენი მამები ისე გათახსირდნენ, ისე დაბრმავდნენ, ისე გადაგვარდნენ, რომ ქართული მწერლობა აღარავის აგონდებოდა, ქართული გაზეთი, ქართული წიგნი კი არა თვით უბრალო ანბანის წიგნიც აღარავის უნდოდა. ყველა გარუსების ცდას მიეცა, ყველა გარუსებას ეხვეწებოდა რუსეთის მთავრობას, ამის ცნობა ხომ მოყვანილია „კავკასელ აქტებშიაც". მაშინდელ ქართველ უმაღლესნი ქართულ ენას გლეხების ენას უწოდებდნენ. ეს ცნობა თვით პუტმა გრიგოლ ორბელიანმა სთქვა 1877 წ. ჟურ. „ცისკარში" რედაქტორად ყოფილის ივანე კერესელიძის წინაშე შემდეგი: „ქართული ენა და წიგნი აღარავის ახსოვდა, ქართული ენა გლეხების ენად იყო მიღებული. ჩვენც თუ რამე ლექსებს ვწერდით, ჩვენის ნათესავებისთვის და მეგობრებისთვის ვსწერდით და არა დასაბეჭდათ. ქართულ ენას და წიგნს ვინ რა თავში იხლიდა, ეს სულ ივან ივანიჩმა აიტეხა, რომ ქართული წიგნი „ცისკრის" გამოცემა, გაანახლა 1757 წელს და აქიდან დაიწყო, თორემ ქართველებს თავიანთის აღარაფერი უნდოდათ, აღარავის რა ადარდებდა ამისთვის". ამ სიტყვებს ივან ივანიჩ კერესელიძეც სწრაფად დაეთანხმა და სთქვა:—„დიახ, ეგრე გახლდათ ბატონო, ქართული აღარავისთვის იყო საჭირო, მეც მიტომ ვლაპარაკობდი ხოლმე „სალაყბოში". ეს „სალაყბო" ჟურ. „ცისკრის" შინაური მიმოხილვა გახლავთ 1857—1864 წლებამდე. ისეთ უკუღმართ დროს ჩვენი მამანი ისეთ გმირები გახლდენ, ისეთი ძოციქულები, რომელთაც გიორგი მუხრანსკის პირით მძლავრთაგან სუსტის გადაყლაპვა ბუნებრივათაც დაასაბუთეს და ისიც კი სთქვეს, რომ ჩვენ რაც მალე გადავგვარდებით და დიდს მძლავრს ერს შეუერთდებით, მით უფრო უკეთესი იქნება და მალე გამოვალთ ვიწრო პირობებიდანაო.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

იდგავდა ფეხს და ცხოვრებაც მეტად ხელსაყრელი იყო. აქ უფრო მეტი თავისიანები ნახა, სხვაგვარი ფუსფუსი. მალე ეწვია ქარხანასაც. აქაურმა სხვა ჯურის ფუსფუსმა, შავხელის გამუდმებულმა ტრიალმა და მანქანების შეუწყვეტელმა ხმაურობამ ხელ-ახლად თვალები დააჭყეტინეს ღვთისოს. ყოველისფერი ეუცნაურებოდა, დამფრთხალ ხარსავით იყურებოდა, მაგრამ მალე მიეჩვია. ნელ-ნელ და აი, დღიურად თავს ირჩენს. თვეც და დაწინაურდა. ეხლა აღარავინაც არ სჭირია მშველელად. სული მოითქვა. მელანოს ჯავრის მეტი არა აწუხებსრა. მართალია, მეზობლის იმედი დიდი ჰქონდა, კარგად შემინახავსო, მაგრამ გული მაინც ეჩხრიკებოდა. ამიტომ იმდენი ეცადა, რომ ზამთრისთვის მელანო ქალაქში ჩამოიყვანა.

ახალი სიხარული გაუთენდათ. როდესაც ერთმანეთი დაინახეს, გაშმაგებულები ეცნენ, ერთურთს ჩააბჟირდნენ, სტიროდნენ, სიხარულის ცრემლებით ულოცავდნენ გამარჯვებას. ღვთისომ უმატა მუშაობას. ვეფხსავით ტრიალებდა. ორ-სამს წელიწადში ისე გამოიწვა, რომ ახლა სხვეებსაც ჰპატრონობდა და სოფლიდან ჩამოსვლისას სამუშაოს ძებნაში ჰხელმძღვანელობდა. არც ერთი ქარხანა არ დარჩენია უნახავი.

— ჰაი და ჰაი,—უთქვია თავმომწონედ,—დღეგრძელობა მაქვს ყველას კისერი მოვუგრიხო. ცოტა წიგნი ვიცოდე და მაშინ გაჩვენებდი თუ ვინაა ღვთისო.

ეხლა ღვთისოს დღიურად მანეთნახევარი შემოჰქონდა. იმედი ჰქონდა წარმატებისა. სწორედ ამ დროს ეყოლათ კაკოც. იმისი დაბადება ერთგვარი წიხლი იყო, მოულოდნელი ჩაქუჩი ულმობელი ბედისა. ბევრჯელ იგლოვდა მელანო, მაგრამ ცრემლებმა ვერ შესძლო პატარას სიმახინჯიდან განკურნება. კუზი, მოკლე ფეხი და გატყაპული ცხვირ-პირი სრულს კონტრასტს წარმოადგენდა პირველ ძმასთან შედარებით. ღვთისო ჭირის ოფლში იწურებოდა. მაგრამ რა არის ისეთი, რომ არ შეეჩვიოს ადამიანი? ღვთისო თუ ბედს დაუწყებდა მუქარას, განაგრძე შენი წიხლი, მაინც არ გაგექელვინებით მხოლოდ იმიტომ, რომ მელანოს სიყვარული ჰქონდა, ეს იმ მელანოსი, რომელიც მის ბედნიერების ტანჯულ ხლართს წარმოადგენდა.

— ყველა, ყველა, მაგრამ მელანო მაინც რა შუაშია, მელანოს ცხოვრება უნდა...

იტყოდა ღვთისო და ხმის ამოუღებლივ მიეშურებოდა ქარხანისაკენ.

VIII

კაკოლას საცოდავი აგებულება მით უფრო ცეცხლს უკიდებდა მშობლებს, რომ ადვილად ვერ მწრაფდებოდა. სნეული თითქმის სამ წლამდინ ფეხ აუდგმელი იყო. ენაც ნაგვიანევად ამოიდგა. მელანო ზრდიდა, მაგრამ ვაი ამ გაზრდას, სულ მარილის კვნიტად სდნებოდა. ვინ იცის, რითი არ დაგვირგვინებულიყო საზოგადო სასოწარკვეთილება, რომ ცქრიალა არ გასჩენოდათ. ეს იყო ერთგვარი გამოდარება სევდიან შემოდგომის დღეს. ცქრიალამ მზესავით შემოანაშუქა მათს მიბინდებულს ოჯახში. გულგატეხილი, ნაადრევად გაჭაღარავებული ღვთისო თითქოს წელში გასწორდა, შუბლზე ასხმული ნაოჭები ფიქრის ალმურით გაეფანტა. იგი ეხლა ემბლემად გარდაიქცა, რომ ახალი ცხოვრება შესაძლებელი იქნებაო. ურწმუნო გული დააჯერა, ბედნიერება არსებობს, ოღონდ მისი დაჭერა არის ძნელიო. კაკოლას შემდეგ მათ ვერცკი წარმოედგინათ, თუ შესაძლებელი იქნებოდა ასეთი ანგელოზის გაჩენა.

მელანოს ფეხმძიმეობა ორ თვეს უბედურებად მიაჩნდათ: უეჭველია, მახინჯს მახინჯი შოჰყვებაო, მაგრამ არა! ბუნებამ ეხლაც ნახტომი გააკეთა და მათი ფიქრის წინააღმდეგ პატარა მზეთუნახავი მოუვლინა. ცქრიალა ალისფერ კაბოსან ვარდის კოკორსა ჰგავდა. მხიარული, მართლაც ცქრიალა, მეშვიდე თვეზე მტერსაც კი თვალს მოსტაცებდა. ფეხი სწრაფად აიდგა, ენაც არაჩვეულებრივ ადრე ამოიდგა, მალხაზი, მოტიტინე სიხარულის სიხარულად აშუქებდა დაჩაგრულ მშობლების ოჯახს. მან კაკოლას სიმახინჯეც კი დასჩრდილა. ის ვერცკი ამჩნევდა ძმის ფიზიკურ ნაკლულევანებას. ორთავენი ერთურთს სინაზით ეფცეოდნენ, ჰკოცნიდნენ, როგორც ერთ ჯაჭვის რგოლები. აი, ამიტომ იყო, რომ ცქრიალას პირველმა ავადმყოფობამ როგორ დასეტყვა მთელი ოჯახი. ეს მოხდა ზამთარში. ფილტვების ანთება დაემართა. ზარდაცემული ღვთისო კინაღამ შეიშალა. ქუდ-მოგლეჯილი დარბოდა, რომ სიკვდილზე გაემარჯვებინა და შვილი არ დაენებებინა. თვით კაკოლაც კი დის გულისთვის იბრძოდა. მის სარეცელის თავთან იჯდა და სტიროდა. რამდენჯერ მოუხვევია ხელი და ნაზად უკოცნია ცქრიალას გახურებული შუბლისთვის: „ლათა გაქვს ფუაი, მითალი გენაცალე, ლათა... აქა ტკია... აქა..." ეტყოდა ენამოტეხით და თან კისერზე ეხვეოდა.

ღვთისო სასოწარკვეთილებამ მთლად გასრისა. სამუშაოდან დაბრუნებისას ჯერ ბავშვი უნდა ენახა, მაგრამ რა გამოვიდა, რო დიდხანს არ შეეძლო მის თავთან ჯდომა. ერთხელ ქარხნიდან კინაღამ დაითხოვეს მხოლოდ იმიტომ, რომ დროზე ვერ მივიდა, ბავშვის კრიზისის გამოისად ქუდმოგლეჯილი დარბოდა მუშათა მოყვარულ ექიმ გ. .სთან.

— ჩვენს გაჩენაში ღმერთი არა რეულა,—მწარედ ამოუკვნესია ღვთისოს და სიბრაზით ბილები გაუხრჭიალებია. მხოლოდ კვირა-უქმით შეეძლო ცოლშვილთან დარჩენა, მხოლოდ ამ დროს შეეძლო ავადმყოფ ბავშვის თავთან ჯდომა.

შავბნელი ფიქრები თვალს უბნელებდნენ. მუნჯად ჩაჰყურებდა ცქრიალას მილულულ თვალებს და ტკივილებს უკრავდა პირსა. მშფოთარე ყველრებასაც ვერა ჰბედავდა. მხოლოდ მაშინ, როცა დასაძინებლად მიეგდებოდა ქვეშაგებზე და ძილთან ბრძოლაში ქანცი მიუწყდებოდა, ღვთისოს საგმობელი ველიც გაჰშლილა ფრთას. აი აქ იმართებოდა წამების გოლგოთა. ნეტავ რად უნდოდა მელანოს შერთვა? რად ეშურებოდა მასთან მჭიდრო ხელშეკრულობის დადებას? ნუთუ იმიტომ, რომ მთელი ეს აწინდელი მდგომარეობის მომასწავებელი ყოფილიყო? განა ათასჯერ არა სჯობდა ისევ მელორედ დარჩენილიყო? ან რად სჭიროდა ეს ბავშვები? ნუთუ მათი გაჩენა მხოლოდ იმიტომ იყო აუცილებელი, რომ ოჯახის ვაება ასეთ სიმწრით დაგვირგვინებულიყო? ღვთისომ ერთხელ როგორღაც სარკეში ჩაიხედა. ვეღარც კი იცნო თავისი თავი.

— ნუთუ ეს მე ვარ... იკითხა ათრთოლებით. მას ვერც კი წარმოედგინა, თუ როდისმე თავმომწონე ბიჭი იყო, მთელი სოფლის თვალი. განა მელანო ზედ-კი შეჰხედავდა, თუ კი ოდესმე მაინც ასეთი გახდებოდა?

— სიზმარი... სიზმარი...

გულდაწყვეტით ბუტბუტებდა ღვთისო.

მაგრამ აი, კრიზისმა საკეთილოდ ჩაიარა. ცქრიალა მოტრიალდა. ღვთისომაც გული მოიბრუნა, რომ ცხადი ეყო ძველის-ძველი ჭაბუკობის სიზმარი: ცქრიალას მუხლზე დაისვამდა, ჩააცქერდებოდა მის უმანკო, გამოცოცხლებულ მშვლის თვალებს და უცნაურად დაიძახებდა:

— მელანო, მელანო... შეხე... შეხე... ვერა ხედავ, ქალო, აი იმას... იმას... ის არის... ის...

— ვინა, გამახარე?

ეკითხებოდა განცვიფრებული მელანო.

— აი, ის... რა ვქნა, ვერა ხედავ?.. ი წითელ თავშალა გოგოა, ბაკში რო ჭრელ ძროხასა წველიდა...

ძველი დროს გახსენება მელანოსაც გულსა ჰკენწლიდა.

— შენცა და შენს თავს, რას არ მოიგონებ...

მაგრამ ღვთისო თავისას არ იშლიდა.

— გეუბნები, ის არის, ქალო. წმინდა ზედაშის მადლს ვფიცავ, პირწავარდნილი ის არის... შეხე... შეხე... თვალები... მისი თვალები...

მხოლოდ ცქრიალა ვერ მიმხვდარიყო მის გაუგებარ ბოდვას. თვალები ფართოდ დაეჭყიტა, თითქოს ფოთოლთა შრიალთ ყურდაცქვეტილი შეშინებული ჭალაკში პირველად გამოსული მშვლის ნუკრი ყოფილიყოს. უყურებდა, უყურებდა, ბოლოს გაუგებარი ღიმილით შესცქრიალებდა და სწრაფად მუხლიდან უცურდებოდა. მას ეხლა კაკოლა ერჩევნა მშობლის ალერსს. მასთან ცუნცულით მიირბენდა, მოჰყვებოდა დედოფლობას, ხან თითონ შეებმოდა, ხან მისი საყვარელი ძამია და ერთის ამბით ეწეოდნენ მეურმის როლსა:

— მა-ამ ჰე-ეი, ნიკოლა, თფი-ე-ეი, ნიკოლა!

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

ნიკოლოზის ძეო. ბ-ნ პეტერსონს უპასუხნია, რომ ორ კვირაზე ადრე არ ჩამოვაო.

დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცნი. ამ დღეებში თბილისში ჩამოიყვანეს და ლაზარეთებში მოათავსეს შემდეგი ქართველი ჯარისკაცნი: მიშავა ანდრო ანდროს ძე, ნონიშვილი აბრამ მილ..., ყურუა ანტონ ანტონის ძე, პერაშიძე მაქსიმე გურ..., გოდაძე შალიკო პავლეს ძე, თავართქილაძე სამსონ ანდროს ძე.

ქალ. გომელში იმყოფებიან შემდეგი ქართველი ჯარისკაცნი, მსუბუქად დაჭრილნი ხელში: მოდებაძე პარმენ ანტონის ძე—სოფ. ნავარძეთი, შორაპნის მაზრა, ჭიჭიაშვილი ალექსი ნიკოს ძე—ზემო ხოდაშენი, თელავის მაზრა და კანდელაკი ვარლამ ბესარიონის ძე—სოფ. ლიხეთი, ქუთაისის მაზრა.

ხოლერა. 27 აგვისტოს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 8 და ხოლერის ნიშნებით 2 კაცი. გარდაიცვალა 4, მათ შორის ნატალია ლომთაძე. გუშინ ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 107 და ხოლერის ნიშნებით 9 კაცი. ხოლერიანთა შორის 32 სამხედრო წოდებისანი არიან, ხოლო ხოლერის ნიშნებიანთა შორის 2 კაცია სამხედრო წოდებისა.

გადამდები სენი. 28 აგვისტოს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: შავი სახადიანი 43, საოფლიანი 26, ქუნთრუშიანი 31, ხუნაგიანი 22, მუცელაიანი 6 და ყვავილიანი 1 კაცი.

ი. პ. სარაჯიშვილის კონცერტი, რომელიც უნდა გამართულიყო ხუთშაბათს 27 აგვისტოს ხარფუხის კლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართება კვირას, 30 აგვისტოს.

საბაქტეოროლოგიო კაბინეტები. კავკასიის ქალაქთა კავშირმა დაადგინა საბაქტეოროლოგიო კაბინეტები მოაწყოს ამიერ კავკასიის იმ ადგილებში, საცა ოსმალეთიდან გამოქცეული სომხებია დაბინავეული.

ქალაქის წარმომადგენელი. თბილისის ქალაქის თვითმართველობა მოსკოვს გზავნის თავის წარმომადგენლად ქალაქთა კავშირის მიერ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს დასასწრებლად ხმოსანს ბ-ნ მიტკევიჩს.

ღვთის ვედრება. გუშინ, დღის 12 საათზე, საქართველოს ეგზარხოსმა, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა პიტირიმმა, თბილისის სამღვდელოების თანამსახურებით, პარაკლის გადაიხადა ერევნის მოედანზე და შეევედრა ღმერთს, მოანიჭოს გამარჯვება ხელმწიფე იმპერატორს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს. პარაკლისს დაესწრნენ წარმომადგენელნი სამხედრო და სამოქალაქო უწყებისა, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელი და დიდძალი ხალხი.

საბურთალო და შემოხიზნული. როგორც წინადაც ვწერდით, ერთი ჯგუფი გამოქცეულ სომხებისა ქალაქთა კავშირმა დააბინავა საბურთალოზე, გოლდლიუსტის შენობაში. აქ კი გამოქცეულთა შორის ხოლერამ იჩინა თავი და მთელი საბურთალო დიდს საგონებელში ჩავარდა. ამის გამო ხვალ, 30 აგვისტოს, საბურთაროელებს კრება ექნებათ მოსალაპარაკებლად იმის შესახებ, რომ შემოხიზნულნი სხვა, უფრო მიყრუებულ, ალაგას გადიყვანონ საცხოვრებლად.

პროფესორი ნიკო მარი, რომელიც ანის სიძველეთა გამოსაკვლევად იყო ჩამოსული, გუშინ პეტროგრადს გაემგზავრა. ბ-ნი მარი გურიაშიაც იყო რამდენიმე დღით ნათესავების სანახავად.

ქართული ენა. როგორც სარწმუნოდ გადმოგვცეს, ფოთის მშობელთა წრეს გადაუწყვეტია შუამდგომლობა აღძრას, სადაც ჯერ არს, რათა ქართული ენა სავალდებულო საგნად გახდეს ფოთის სასწავლებლებში.

მხატვრის ავადმყოფობა. როგორც გვატყობინებენ, ახალგაზდა მხატვარი კ. ქავთარაძე ფილტვების ანთებით ავად გამხდარა პეტროგრადში.

გადმოხვეწილთა დახმარება. როგორც ვწერდით შემოხიზნულთა მოვლა-პატრონობა ქალაქთა კავშირს აქვს ნაკისრი. ამიტომ კავშირის განყოფილებამ კავკასიაში ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინა და კავშირს წარუდგინა განსახილველად. ამ ხართ-აღრიცხვის მიხედვით ერთდროულად საჭიროა 713,500 მან., ხოლო ყოველთვიურად 221,000 მან. ერთდროულად გადადებულ ფულით ამიერ კავკასიის სხვა და სხვა ადგილას უნდა მოეწყოს გამოქცეულთათვის საავადმყოფოები 3,000 საწოლით.

ბოსტნეულის გახმობა. საბაღოსნო სკოლის თაოსნობით თბილისში არსდება პრაკტიკული კურსები ბოსტნეულის გახმობის შესასწავლად. კურსებზე სწავლა 2 კვირას გაგძელდება. მსურველებმა უნდა მიმართონ საბაღოსნო სკოლის გამგეს ბ-ნს მელიას 1 სექტემბრამდე. სამხედრო უწყებამ უკვე შეუკვეთა საბაღოსნო სკოლას 5000 ფუთი გამხმარი ბოსტნეული.

სურსათი. 27 აგვისტოს თბილისში მოტანილი იყო: ფქვილი 1 ვაგ., მარილი 1 ვაგ., სანთელი 1 ვაგ., საზამთრო 4 ვაგ., ნავთი 1 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., სოდა 1 ვაგ., ჩაი 205 ფუთი, კარტოფილი 706 ფუთი, კარაქი 34 ფუთი, კვერცხი 78 ფუთი, ნედლი თევზი 64 ფუთი, საპონი 177 ფუთი.

10 ენკენისთვეს დილით, სადგურ სკრაზედ მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა სამეურნეო ეკსკურსიაში, რომელსაც აწყობს შ. ჯავახიშვილი იხ. წერილი რედაქციის მიმართ.

———

რედაქციას მოუვიდა საანკეტო ფურცელი და მცირე მოწოდება ფრიად საგულისხმიერო და დროის შესაფერისი საქმის თაობაზედ, სახელდობრ შიმშილთან ბრძოლის საშვალებათა გამონახვისა. ქვემოდ ვბეჭდავთ ფურცელს და მოწოდებას და სრული იმედი გვაქვს რომ ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით და გულმხურვალედ მოუწყობს ხელს საქმის მოგვარებას.

საანკეტო ფურცელი

1. რავდენი სოფელი შედის თქვენს საზოგადოებაში და რავდენი კომლი?
   პასუხი:
2. როგორი იყო დაახლოვებით მოსავალი წელს თქვენ სოფელში დღიურზედ:
   ჰურისა კოდი
   სიმინდისა „
   ქერისა „
3. როგორი პირი უჩანს წელს ხილსა და ღვინის მოსავალს?
   პასუხი:
4. როგორი იყო წარსული წლების საშუალო მოსავალი დღიურზედ?
   ჰურისა კოდი
   სიმინდისა „
   ქერისა „
5. რავდენ კომლს დასჭირდება დახმარება ჭირნახულით?
   პასუხი:
6. რავდენი კოდია დაახლოვებით საჭირო თქვენი საზოგადოებისთვის?
   პასუხი:
7. არსებობს თუ არა რაიმე ადგილობრივი საშუალება, მაგალ. მაღაზიის ფული, ან სასოფლო თანხა, შიმშილის თავიდან ასაცილებლად?
   პასუხი-

მოწოდება

6 ენკენისთვეს, კვირას 12 ს. ქ. გორის თვითმართველობის შენობაში სახელოსნო კრედიტის თაოსნობით მოწვეულ იქნება საზოგადო დამფუძნებელი კრება, რომელზედაც განიხილება დღევანდელი სოფლის მდგომარეობა.

უმორჩილესად გთხოვთ დაესწროთ ამ კრებაზედ და, თუ შესაძლებელია, წარმოადგინოთ მოკლე მოხსენება იმაზედ, თუ რა გაჭირვებას განიცდის დღეს თქვენი სოფელი და რა ზომებია თქვენი აზრით საჭირო მოსალოდნელ შიმშილის თავიდან ასაცილებლად.

ამასთანავე გიგზავნით საანკეტო ფურცელს.

უმორჩილესად გთხოვთ, აგრეთვე პასუხი გასცეთ წერილობით ამ ფურცელში აღნიშნულ კითხვებზედ.

სასურველია, რომ თქვენი მოხსენება შეთანხმებული იყვეს ამ საანკეტო ფურცელის კითხვებთან.

დღიური პროგრამა:

1. ა. საზოსადო ხასიათის მოხსენება საბჭოს ან გამგეობის ერთ-ერთ წევრისა.
   ბ. მოხსენება აგრონომიულ დახმარებაზედ.
2. სოფლის წარმომადგენლების მოხსენება.
3. ორგანიზაციულად მოწყობა დახმარებისა.
4. მიმდინარე კითხვები.

გორის სახელოსნო კრედიტის ამხანაგობის საბჭოს და გამგეობის წევრები: დ. ონიაშვილი, დ. ჯავახიშვილი, გ. მინაზაროვი, ზ. ჯავახიშვილი, პ. ჯაფარიძე და ა. ძთვარელიძე.

სავედრეგელი

— —

ცრემლი ჩემი შეიწირე ტანჯულ სულის წმიდა ძღვნადა,
იგი დასჭრეს სწორედ იმ დროს, როს გვირგვინსა შენთვის სწნავდა,
ოჰ ხელს ნუ ჰკრავ, შეიხიზნე, ნურას ჰკითხავ, ნურას ეტყვი,
მზემან კვალად ალადგინე ელვის მეხით დანასეტყვი.

— —

ნუ ეკრძალვი ჩემსა ტანჯვას, დაე, წყლული გაასკეცდეს,
ოღონდ ასე გულთან ყოფნით ტანჯვა იგი ცას აღწევდეს.
დაივიწყოს არსებობა, ამ ქვეყანას არ უმზერდეს,
და, ვით ბავშვი დედის გულთან, ტკბილ დუმილით სულს უმღერდეს!

———

Candide.

რა მდგომარეობაშია დღეს ივერიის ეკლესიის საკითხი?

წერილი VI [1])

შეიძლება, მკითხველო, მრავალფეროვან ცხოვრებაში მართლაც გქონდა შემთხვევა და თუ არ გქონია, წარმოიდგინე შეგემთხვა, რომ უნებლივ და უცაბედად რაიმე ხიფათს წააწყდი, გარეშემო აურზაური ასტყდა. ეს არის დამნაშავეო,—დაიყვირა ერთმა და ყველანი შენ შემოგეხვევნენ, რალაცაში გამტყუნებენ, გწიწკნიან. ჰფიცავ, რომ არა იცი რა, მაგრამ ყურს არავინ გიგდებს, არც გეშვებიან, ჭირის ოფლს გასხამს. და ამ დროს ერთი ვინმე უცნობი, რომლისგან არას მოელოდი, გამოგექომაგა, ხმამაღლა გამართლებს, რითაც და რამდენად შეუძლია უშიშრად გიცავს.

ხომ ძლიერ გესიამოვნება ამ ადამიანის ასეთი შეიძლება ფაქტიურად უმნიშვნელო, მაგრამ სამართლიანი და რაინდული მოქცევა? ვგონებ, არ დაგავიწყდეს შენს დღეში!

სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზედ მღვდ. ნიკანდრე პაკროვსკის წერილი „განკერძება და ერთობა“ „Обособленіе и единеніе“), რომელიც მოულოდნელად, მწვავე რეაქციის დღეებში, 1906 წლის დამდეგს დაიბეჭდა საეკკლესიო მთავრობის იმ დროინდელ ოფიციოზში—„სასულიერო მოამბეში“ [2]). მით უფრო მოულოდნელი და სასიამოვნოსანუგეშო იყო ეს წერილი, რომ იმ დროს სასულიერო უწყების ამიერ-კავკასიელი რუსობა და არა-ქართველნი თითქმის ამხედრდნენ ქართველების და კერძოდ ავტოკეფალიის წინააღმდეგ, სათანადო წრეებში აშკარად ვრცელდებოდა და სადაც ჯერ იყო წარსადგენად მზადდებოდა ცნობილი „წერილობითი მოხსენება უწმინდესს და უმართებელეს სინოდისადმი ამიერ-კავკასიაში არა-ქართველ მართლმადიდებელ სამრევლოთათვის დამოუკიდებელ ეპარქიის დაარსების აუცილებლობის შესახებ“, რომლის შინაარსი წინა წერილში მოვიყვანეთ [3]).

ეპისკოპოსებმა ლეონიდემ და კირიონმა ქართველ პროფესორებითურთ სრულიად რუსეთის საეკკლესიო კრების წინასწარ საბჭოში და დეკანოზმა კ. ცინცაძემ, ბ-ნ ანტ. ივ. ნატროშვილმა და სხვებმა პრესსაში საკმაოდ გამოარკვიეს ავტოკეფალიის კანონიკური, ლიტურგიკული, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი, საერთაშორისო და ეკონომიური მხარენი. ამ აუარებელ მასალაში კავკასიელმა რუსმა, მღ. პაკროვსკიმ უანგარო და ძვირფასი წვლილი შეიტანა და საკუთარი ხელის მოწერით გამოაქვეყნა იგი უწყების ორგანოში [4]), რომლის რედაქტორის მოვალეობას თვითონ ასრულებდა იმ დროსა. პაკროვსკის „განკერძება და ერთობა“ ექზეგეთიურ—ფილოსოფიური დასაბუთებაა იმ მარტივ აზრისა, რომ ყოველ ერს უსათუო უფლება აქვს თვითარსებობის და თვითშემეცნებისა, ქრისტეს და წმ. მამათა მოძღვრება არამც თუ ნებას იძლევა, მოითხოვს კიდეც, რომ ყოველ ერს ჰქონდეს საკუთარი, სხვა ერისა და უცხო ეპისკოპოსისაგან დამოუკიდებელი ეკლესია მამა-პაპეულ ზნე-ჩვეულებათა და ადგილობრივ სხვადასხვაობათა უმწიკვლოდ შესანახად (ამაშია „განკერძება), ყოველი ცალკე ეროვნული ეკლესია მორიდებით და უფლებათა პატივით უნდა ეპყრობოდეს დანარჩენ ეროვნულ ეკლესიებს და ყველანი ერთად, სხვა და სხვა გზებით ერთ მიზნისკენ მიმართულნი (ეს არის „ერთობა“), ემსახურებოდნენ საერთო უმაღლეს საგანს—ქრისტეს მოძღვრების ქვეყნად განმტკიცებას და კიდითი-კიდემდინ მოფენა-გავრცელებას.

მ. პაკროვსკის ვრცელ წერილიდან მოვიყვანთ რამოდენიმე შედარებით დამახასიათებელ ადგილს

„ეროვნული პრინციპიო,—სწერდა მ. ნიკანდრე,—რომელიც მოითხოვს ყოველ ერის განკერძებას და, მაშასადამე, ყოველ ერის უფლებათა პატივცემას, წარმართული ხასიათისა როდია, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. სწორედ წარმართებს აკლდათ შეგნება ცალკე ეროვნებათა დამოუკიდებლობის და განკერძებისაკმი პატივცემისა. თვითეული ერი ცდილობდა დაეჩაგრა დანარჩენნი, რომ დაეარსებინა მსოფლიო მონარქია. ამითი იწყებოდა განხეთქილება და ომი. აქიდანვე წარმოდგებიან ისინი დღესაც... ჩვენს ერთმორწმუნე ქართველ ერს სურს იყოს დამოუკიდებელი კოლექტიური პიროვნება და აცხადებს პირადს უფლებას საეკკლესიო-ადმინისტრატიულად დამოუკიდებელი გახდეს. მეტია მტკიცება, რომ ეს მისი უფლება კანონიერია და ქრისტეს მოძღვრებით დადასტურებული. ქრისტიანობა თავისუფლების რელიგიაა. ყოველნაირი ძალმომრეობა პიროვნებაზედ და ერთის ერისა მეორესადმი ძირითად ეწინააღმდეგება ქრისტეს სჯულს.. საქრისტიანო ეკლესიაში არავინ უნდა ქედ-მაღლობდეს სხვებზედა, საეკლესიო საქმეებში არ არის არავითარი ეროვნული უპირატესობანი, არამედ ყოველი ეროვნება, როგორც ამ შემთხვევაში რუსები, პატივს უნდა სცემდეს სხვა ეროვნებათა ნაციონალ სხვადასხვაობას, უფლებას და დამოუკიდებლობას, განსაკუთრებით ქართველ ერისას, რომელიც საქრისტიანოში „ეფიროში“-ძმაა,—ძმა ჩვენთან მჭიდრო და [illegible] პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივი ცხოვრებით საერთო სამშობლოში, უდიადეს რუსეთში, რომელიც მეფე-განმათავისუფლებელ ნიკოლაოზ მეორის წყალობით შესანიშნავი 1905 წლის 17 ოქტომბრის შემდეგ დაადგა ისტორიულ განვითარების ახალ და თავისუფალ გზას“...

„ასი წლის გამოცდილებამ გვაჩვენაო,—დაასკვნის ავტორი „განკერძების და ერთობისა“, რომ რუსეთის ეკლესიის ივერიის ეკლესიასთან გარეგნულ ერთობამ, რომლის დროსაც მეორე ემორჩილებოდა უწმინდეს სინოდს რუსეთიდან დანიშნულ არქიეპისკოპოსების მაშვლობით, ვერ შეჰქმნა შინაგანი მტკიცე ერთობა ამ ეკლესიებისა და პირიქით აღმოაჩინა ადგილობრივ სამღვდელოების მისწრაფება განკერძებისადმი. ქრისტეს სარწმუნოებით დანათესავებულ ორ ეროვნების საიდუმლო, ბოლო დროს კი გამოჩინებულ შინაგან გამწვავება-გაბრაზებას და გათიშვას ნუ თუ არა სჯობია გარეგნული განცალკევება, რომ ავტოკეფალია მივცეთ საქართველოს ეკლესიას და სამართლიანად აღვიაროთ, რომ ეს აქტი ხელს ვერ შეუშლის ამ ორს ეროვნებას, დროთა განმავლობაში გარეგნულ ერთობის დაუხმარებლად მშვიდობიანად და სულიერად შეერთდნენ.“

ასე სწერდა მ. ნიკანდრე პაკროვსკი 1906 წლის დამდეგს.

და ეს სიტყვები მან აქ დასტოვა. უკან არ წაუღია იმ კრიტიკულ წუთებშიც კი როცა მცირეოდენი აბრუნდი საკმარისი იყო დაეცვა პირადი კეთილდღეობა.

ასეთი ტაქტიური უკან-დახევა ისევ ჩვენს წრეში მოხდა და ისეთი უხერხული მდგომარეობა, ასე ვთქვათ ჟრუანტელის მომგვრელი შთაბეჭდილება შექმნა, როგორსაც ახდენს ხოლმე შინაურის ხმამაღალი, თავდაუჭერელი სიცილი ცხედრის წინაშე. ეს იყო ქართველ „მღვდლების ჯგუფის აზრი“ იმის შესახებ, თუ „რა ტაქტიკას უნდა ადგეს ქართველი სამღვდელოება სამშობლო ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებში ადგენისას“.

ამაზე შემდეგს წერილში მოგახსენებთ.

ახელი.

უურადსაღები გარემოება

ყველას მოეხსენება რომ ჩვენი წარმოება მეურნეობაზედ არის დამყარებული. სახელმწიფო ტვირთს ეწევა მშრომელი ხალხი, უმეტესად კი წვრილი მეურნე, ან მწარმოებელი. საერთო სახელმწიფო თვალსაზრით საჭიროა მიეცეს ფართო კალაპოტი ჯერ არა საკმარისად განვითარებულ მეურნეობას. კერძოდ ჩვენი სამშობლო სხვათა შორის მევენახეობასაც ეწევა. ეს დარგი შეადგენს იმ საძირკველს რომელზედაც აშენებულია დღევანდელი ჩვენი ქონებრივი კეთილდღეობა და რასა ვხედავთ: მევენახე ჩარჩის ბრჭყალებშია ჩავარდნილი. მევენახე მიწას დაჰბღაუჭებია, ოფლსა ჰღვრის და მისი ნაამაგარით იგძნება სახელმწიფოს ხაზინა და შეიარაღებული ძალა, რომელიც ეხლა ომის მიზეზით წინა რიგში სდგას. ჩარჩი კიდევ შემოქმედებითი მუშაობას არ ეწევა, არავის არ ინახავს და თუ დრო იხელთა ვერცხლის ფულსაც დამალავს, თავის უგუნურობით, რაც არევ-დარევას იწვევს ხალხში.

აი საერთო დახასიათება დღევანდელი წვრილი მწარმოებელისა და ჩარჩისა. ასეთ დიდ მომენტში, როდესაც მთელი სახელმწიფო დიდ ტვირთს ეწევა, ჩარჩები მაინც ახერხებენ თავიანთკენ გადმოხარონ უსამართლობის სასწორი. სწორედ ჩარჩების ოინბაზობაა რომ ღვინით ვაჭრობა დღესაც აღკრძალულია. მკითხველი იფიქრებს ღვინით მოვაჭრე ჩარჩი უფრო ზარალობსო, მაგრამ ეს მოკლებულია საფუძველს. ამ ჟამად რომ აკრძალულია ღვინით ვაჭრობა დიდ ხეირს აძლევს ჩარჩს.

---

[1]) გაზ. „საქართველო“ № 60.

[2]) „Духовный Вѣстникъ“ 1906 წლ. № 4, გვ. 16—24.

[3]) „საქართველო“ № 60.

[4]) ამ „უტაქტობამ“ მას უნაყოფოდ არ ჩაუარა: პაკროვსკი მისდა უნებურად და დაუკითხავად გადაიყვანეს ქ. სტავროპოლში. ეს გადაყვანა ისე მოულოდნელად და საიდუმლოდ მოხდა, რომ პატივცემის მსურველებმა გაცილებაც ვერ მოასწრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა ახალი მოსავალია ღვინისა და ჩვენი გლეხი, რომლის იმედი ღვინოზეა დამყარებული, ეგება გავყიდოვო, იძულებულია ოხერ ფასში გაჰყიდოს თავისი უკანასკნელი ქონება. ჩარჩები თავსაც იდებენ და ამუნათებენ სოფლელებს, თუ ჩალის ფასში იყიდიან ღვინოს. ღვინის ვაჭრობას სამუდამოდ აკრძალვის განზრახვას განგებ ავრცელებენ ჩარჩები ხალხში, რათა სულ უფასოდ დაინარჩუნონ საქონელი. რამდენიმე თვის შემდეგ კიდევ, როგორც ეს მოხდა შარშან, ღვინით ვაჭრობის ნებას დართვენ და ჩარჩის მიერ ოხერ ფასად ხელში ჩაგდებულ ღვინოს ჩვენვე მამასისხლად ვიყიდით. ასეთი აღკრძალვა ღვინით ვაჭრობისა რაღაცა განგებით სწორედ შემოდგომის პირს მოუსწრებს ხოლმე და დიდად აზარალებს გლეხობას. საჭიროა ბ-ნ გუბერნიტორმა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ჯერ-ჯეროობით ვიდრე ახალა მოსავლის დაკვეთის დრო არ გავა ნება დართონ ღვინით ვაჭრობასა. ჯარში უკვე გაიწვიეს ხალხი და კიდეც დაანაწილეს სამხედრო ნაწილებში და ეხლა შიში სიმთვრალისა სრულიად უსაფუძვლოა.

ხურვალელი.

სამეგრელოდან

აფთექარი ექიმის როლში.

Бѣда,—коль пироги начнетъ
печи сапожникъ,
а сапоги точатъ пирожникъ.
Крыловъ.

დიახ, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა ნიჭიერმა მეიგავ-არაკემ, კრილოვმა. სწორედ უბედურობაა და უკულმართობა, როცა მეფურნე ჩექმის კერვასა ჰკიდებს ხელსა და მეჩექმე კი პურის ცხობასა. სამწუხაროდ, კრილოვის დროს აღნიშნულმა უკულმართობამ ჩვენს დრომდე მოახწია საესებით და დღესაც ხშირად მეჩექმეებს ვხედავთ მეპურეების როლში...

აი ფაქტიც ზუგდიდის მაზრის ერთ-ერთ სოფელში ერთმა ფარმაცევტმა გახსნა აფთიაქი. ყრუ და მივარდნილ სოფელში „გამოცდილმა“ აფთიექარმა ისე რიგიანად, ივაჭრა, რომ ორი-სამი წლის განმავლობაში ჩინებული ქვითკირის შენობაც კი ააგო აფთიაქისთვინ და, რასაკვირველია, კარგად მიდიოდა მისი საქმე, როგორც აფთექარისა; მაგრამ ხარბი ფარმავცევტი ამას არ სჯერდება და ჰკისრულობს თან ექიმობასაც,—იწყებს პირველად ავადმყოფებთან სიარულს „უეცარ შემთხვევებში“, მერე—„ისე შემთხვევით“—და ბოლოს კი—სისტემატიურად. ყოველს შემთხვევაში.—ასე რომ, გახდება ვინმე ავად თუ არა, ცნობილ აფთექარს მოართმევენ ცხენს ან ჯორს და იწვევენ ავადმყოფთან. ექიმი-აფთექარი, „პრაგონზე“ მცირე ვაჭრობის და მოლაპარაკების შემდეგ, თანხმდება, იხურავს ცილინდრას, იღებს სასინჯ „ტრუბკას“, სიცხის საზომს და დინჯად ჯდება ცხენზე...

ავადმყოფის „გულდასმით“ დასინჯვის შემდეგ წამოჯდება სკამზე და... დიდხანს ფიქრობს: ადგენს დიაგნოზს. ბოლოს სწერს გძელ-გძელ რეცეპტებს და აძლევს წამლებს, საკუთარის აფთიაქიდან. რა ავადმყოფობა გინდათ, რომ ჩვენმა აფთექარმა—ექიმმა არ „გამოიცნოს“ და უეჭველად მორჩენის იმედი არ გამოსთქვას! მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, აფთექარის იმედი რჩება იმედათ და ავადმყოფი-კი, თუ ავადმყოფობა ასე თუ ისე სერიოზული იყო, მიემგზავრება საიქიოს (პრავიზორის საჩივლელად)...

ხალხის გაუნათლებლობით სარგებლობა და სხვის უგუნურება-უბედურებაზე თავის ბედნიერების (თუ შეიძლება ეს ფულის შეძენაზედ ითქვას) დამყარება, სწორედ მიუტევებელი დანაშაულია ჩვენის დროის ინტელიგენტისათვის, ამიტომ ჩვენ მივმართავთ პირველად ერთ-ერთ საშვალებას: აღვნიშნავთ ჩვენი ექიმ-აფთექარის მეტი რომ არა ვსთქვათ, ურიგო და არა საკადრის საქციელს პრესაში—ისე ყრუდ, ხოლო, თუ მან მაინც განაგრძო თვისი „მოქმედება“, ჩვენ იძულებული ვიქნებით. გამოვაქვეყნოთ მისი ვინაობაც.

კაი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთის ერთ ერთ მახლობელ ნომერთაგანში მოათავსოთ ეს ჩემი მცირე შენიშვნა იმ წერილის გამო, რომელიც მოთავსებულია „საქართველოს“ № 70-ში და რომელშიაც სხვათა შორის მეც ვარ მოხსენებული.

ის წერილი, რომელზედაც მოგახსენებთ, ეკუთვნის ბ-ნ გძელს. ამ საგულისხმიერო წერილში ნათქვამია სხვათა შორის, რომ „არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ გაასწრო რუსეთისაკენ დავითსო“ (იგულისხმება ეპისკოპოსი დავითი). ეს წინადადება მეტად უხერხულად მეჩვენა, რადგან ამას შეუძლია მკითხველი იმ დასკვნამდე მიიყვანოს, რომ მე ვითომ ჩემის ნებით მიმეტოვებიოს სამშობლო მხარე და გადმოვსახლებულიყო რუსეთში. ნამდვილად კი, როგორც იყო საქმე, უნდა იცოდეს ბ-ნ გძელმაც. მართალია, მე „გამოვასწარი“ ეპ. დავითს რუსეთისაკენ, მაგრამ ეს გამოსწრება იძულებითი იყო.)

1908 წლის დამლევს უწმ. სინოდის განკარგულებით სასტიკად ვიქენი დასჯილი: აღმეხადა მღვდელთ-მსახურების უფლება და გაგზავნილ ვიქენი რიაზანის სამების მონასტერში, სადაც გავატარე ერთ წელიწადზედ მეტი სასტიკი რეჟიმის ქვეშ. 1910 წელს დამიბრუნეს მღვდელმსახურების უფლება და მომცეს წინამძღვრობის ადგილი. ჩემი გადმოსახლების შემდეგ გადის თითქმის რვა წელიწადი, მაგრამ ყოველ ჩემ თხოვნას სამშობლოში დაბრუნებაზე, უწმ. სინოდი უყურადღებოდ სტოვებს. უკანასკნელად პირადათაც გამომიცხადეს, რომ ჩემზე ითვლება რაღაც ძველი ცოდვები, მაგრამ, როდესაც მოვითხოვე ამ ცოდვების დასახელება, მითხრეს, რომ ამის თქმა უხერხულია და ვერც გაიგებ როდის-მეო. სჩანს, მათ არა აქვთ რაიმე კონკრეტული ფაქტები ჩემს შესახებ და მხოლოდ მათი პოლიტიკა უნდა თხოულობდეს ჩემი სამშობლოს გარე ყოფნას, როგორც, მათის შეხედულობით, არა საიმედო პირისას. ამის გამო ახლაც, როდესაც სხვა გადმოსახლებულებს ახადეს არა საიმედო პირების სახელი, როდესაც, როგორც გაზეთებმაც გვამცნეს, მოხდა მათი რეაბილიტაცია, ჩემს მდგომარეობას არა ეშველა რა და ახლაც სიტყვიერად მაგებინებენ, რომ ჩემი მდგომარეობის გამოცვლა და გაუმჯობესება მოუხერხებელიაო, რადგან ძველი ცოდვები ამის წინააღმდეგს გვიკარნახებსო. მაგრამ მრწამს, რომ დრო მალე გამოიცვლება.

საზოგადოთ მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი და ვიქნები იმისა, რომ ქართველმა კაცმა ნებით მიატოვეს თავისი სამშობლო მხარე, თუნდაც სხვაგან მას მოელოდეს პირადი წარმატება და ბედნიერება, რადგან საქართველოს ჯერ ხანად არ ემეტება მოღვაწეები. ამის გამო, ვიმეორებ, ჩემი აქ ყოფნა არანებითი, არამედ იძულებითია. ამნაირივე იძულებითი იყო ჩემი სამსახური დონის ოლქში 1904 და 1915 წლების განმავლობაში.

ბ. გძელის სიტყვების განმარტება მეჩვენა საჭიროდ არა პირადის ინტერესების გამო, არამედ სულ სხვა მოსაზრებით. ჩემგან მიღებულ წერილებში ზოგიერთნი მთვლიან მე ბედნიერათ, რომ მოვშორდი საქართველოს და ვითომ მატერიალურად კარგად მოვეწყვე. ამ წერილების დამწერებს ალბათ ჯერ არ გამოუცდიათ მარტოობა სულისა,—არ გამოუცდიათ ის სიმწვავე მდგომარეობისა, რომელსაც განიცდის სამშობლოდან გადახვეწილი. თუ კი ის გადაგვარების გზაზე არ არის დამდგარი და გული შესტკივა სამშობლოს მდგომარეობაზე. ამნაირებზე შეიძლება იქონიოს გავლენა იმ აზრმა, რომ არქიმანდრიტი ამბროსი ვითომ თავის ნებით გადმოსულიყოს ჩრდილოეთისაკენ და კმაყოფილიც იყოს და ამან აუშალოს მათ სურვილი სამშობლო მხარის მიტოვებისა. ერთმა სამშობლოდან გამრქეული ვითომ ქართულმა ბეჭდვითი სიტყვის საშვალებით კიდევაც ამცნო საზოგადოებას, რომ მე ვითომ კმაყოფილი ვიყავი ჩემი რუსეთში გადმოსახლებით. ეს იყო 1905 წელს—მაშინ, როდესაც მე პირველად იძულებით ვიყავი გადაყვანილი დონის ოლქში. ამ რენეგატმა მაშინ მიიღო ჩემგან ღირსეული პასუხი.

ბ. გძელი კი, დარწმუნებული ვარ, მენებით გადმოსახლებულად და ამ გადმოსახლების გამო ბედნიერად ვგრძნობ პირად არ მთვლის, მაგრამ ბუნდოვანად გამოთქმულ აზრს შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს ის პირები, რომელნიც საქმეში ჩახედულნი არ არიან.

არქიმ. ამბროსი.

1915 წ. 21 მარიამობისთვე
ქ. სტარ. რუსა.

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე რედაქციას ჩემის ნებითა და ინიციატივით დავანებე თავი 20 აგვისტოს, ე. ი. ერთი დღის წინად, სანამ დაიბეჭდებოდა „საქართველოს“ პირველი „შენიშვნა“ შესახებ საარჩევნო მოწოდების დაგზავნისა, და ორი დღის წინად სანამ ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილის პირველი წერილი დაიბეჭდებოდა „სახალხო ფურცელში“.

პატივისცემით **მ. ადამაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო, გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენის გაზეთის მახლობელ №-ში შემდეგ განცხადებას:

10 ენკენისთვეს ვაპირობ ექსკურსიით გამგზავრებას სოფელ სკრაში ძმათა ფრიდონოვების სამრეწველო სანერგის დასათვალიერებლად და იქ სხვა და სხვა პრაქტიკულ ცდის მოსახდენად. ვისაც აინტერესებს რიგიანი ხეხილის სანერგის ზრდა-განვითარების ახსნა-გათვალისწინება, გთხოვთ მობრძანდეთ ზემო აღნიშნულ სადგურზედ $12^1/_2$ საათ. დილით, 10 ენკენისთვეს.

საერობო მეხილეობის ინსტრუქტორი
შაქრო ჯავახიშვილი.

ქ. გორი.

დეპეშები

პარიზი, 25 აგვ. „ტანი“ სწერს: „ხელმწიფის სიტყვა და ის გარემოება, რომ თვით იგი კისრულობს მთავარსარდლობას, გვიმტკიცებს რწმენას, რომ რუსის ხალხი იბრძოლებს უკანასკნელ გამარჯვებამდე და სლავიან ხალხს იხსნის გერმანელთა ბრჭყალებიდან.

ბუქარესტი, 26 აგვისტო. სტამბოლიდან იუწყებიან, მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დაადგინეს: გაუქმებულად გამოაცხადონ სომეხთა პატრიარქის საერო საბჭო.—დიდძალ სომხებს აპატიმრებენ.

ლონდონი, 26 აგვ. ბეჭდვითი სიტყვის ბიურო იუწყება: სამმა ცეპელინმა აღმოსავლეთის საგრაფოებს გადმოუქროროლა და ყუმბარები ჩამოყარაო. ცეპელინების წინააღმდეგ მომართეს ზარბაზნები. ინგლისის ჰაეროპლანები აფრინდნენ ცეპელინებთან საბრძოლველად, მაგრამ უკან წამოსულთ გზა ვერ მოუპრეს. ცეპელინებმა დაანგრიეს 15 მცირე შენობა. რამდენსამე ალაგას ცეცხლი გაჩნდა, მაგრამ მალე ჩააქრეს. სხვა შესამჩნევი ზარალი არ მიუყენებიათ. მოკლულ იქმნა 2 მამაკაცი, 2 დედაკაცი და ხუთი ბავშვი; დაიჭრა 13 მამაკაცი, 16 დედაკაცი და 14 ბავშვი. ვგონებ სამი სული ნანგრევებქვეშ მოეტანა. დაზარალებულნი სამხედრო პირთ არ ეკუთვნით, გარდა ერთის ჯარის კაცისა.

ცნობა მოვიდა, რუსის გემი „რეა“ დაღუპულ იქმნაო. ზედ მყოფნი გადაარჩინეს.

ბუქარესტი, 26 აგვ. ოფიციალად იტყობინებიან, უნგრეთის მთავრობამ საზღვარზე მდებარე სადგურ პრედეალში ბრძანება გამოსცა, რომ ყველა მოგზაურთათვის ავსტრიიდან რუმინიაში შემოსვლა აიკრძალოსო. რუმინიის ქვეშევრდომთ, რომელთაც გადალახეს ავსტრია-გერმანეთის საზღვარი, უფლება არ აქვთ გავიდენ ავსტრია-გერმანეთიდან, შვეიცარიაშიც ვერ წაესვლებათ. მგზავრებს ბრასლოში აჩერებენ.

შემოწირულება

ბატონო რედაკტორო, უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „საქართველოში“ მოთავსოთ შემდეგ პირთა სია, რომელთაც კეთილ ინებეს და ჩვენი ახლად დაარსებულ ტობანიერის ბიბლიოტეკის ასალორძინებლად გამოიღეს თავ-თავის წვლილი ფულით და წიგნებით.

შემომწირველთა სია.

ვასილ ალ. გოგოძემ 10 მან., აბესალომ ილარ. ნაფეტვარიძემ 10 მან., ხავთასიმ 50 კაპ., ჯაფარიძემ 50 კაპ., ტერდავიდიანცმა 20 კაპ., მაკარაშვილმა 50 კაპ., ბერაძენმა 1 მან., კანდელაკმა 50 კაპ., ძიმისტარიშვილმა 20 კაპ., რატიანმა 40 კაპ. დოლაბერიძემ 50 კაპ. ბურვიანმა 20 კაპ., ტერემბელმა 20 კაპ. ლ. კრუკმა 30 კაპ., კ. ბიბილაშვილმა 40 კაპ. გ. რუსიაშვილმა 50 კაპ., უცნობმა 50 კაპ. ი. რატიანმა 50 კაპ., დ. დგებუაძემ 35 კაპ. ი. ქუთათელაძემ 30 კაპ., პ. რატიანმა 20 კაპ., ე. უთმელიძემ 1 მან., ს. გრიგოლიამ 25 კაპ., რ. სვიმონიშვილმა 30 კაპ. დ. დინარიძემ 50 კაპ., მ. სალუქვაძემ 50 კაპ., გ. ხომასურიძემ 50 კაპ. ი. ბოჭორიშვილმა 1 მან., მ. ელიავამ 50 კაპ., თ. მეგრელიშვილმა 1 მან., ა. მაცაბერიძემ 50 კაპ., დ. მაჭარაშვილმა 50 კაპ., ა. ახვლედიანმა 50 კაპ., გ. ცაგარეიშვილმა 50 კაპ., ა. ტატუნაშვილმა 30 კაპ.

პატივისცემით ტობანიერის ბიბლიოთეკის გამგეობის წევრები:

ვ. ნაფეტვარიძე, ტ. ალფაიძე და ა. სულაბერიძე.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

გერმანიაში დატყვევებულთა ნათესავების საყურადღებოდ

ვისაც სურს გერმანიაში მყოფ ტყვეებს გაუგზავნოს ფული ან კიდევ რაიმე ამანათი, იმან უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი კანონით:

ამანათის წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას (5 კილოგრამს). ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული სწორი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. საჭიროა აგრედვე ამანათს ზედ ეკრას პატარა ქაღალდი შემდეგის წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჭკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით, ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** ჰგზავნის. ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

ან Suise, Bern, Ensingenstasse, 48 A. A. Бахерахтъ

ან კიდევ: Bangue Papulaire Suisse, Fonds Russe pour les prisonniers de guerre.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან . . .	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ. .	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ. . .	8 „	58 „	„
ვაზიანიდან . . .	10 „	06 „	„
ივრიდან	21 „	15 „	„
საგარეჯოდან . . .	11 „	58 „	„
ბადიაურიდან . . .	12 „	56 „	„
მელაანიდან . . .	2 ს.	16 წ.	საღ.
გურჯაანიდან . . .	2 „	37 „	„
კარდენახიდან . . .	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე . .	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან . . .	3 ს.	42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან . . .	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან . .	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდანახიდან . . .	9 „	41 „	„
გურჯაანიდან . . .	10 „	24 „	„
მელაანიდან . . .	11 „	39 „	„
ბადიაურიდან . . .	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან . . .	2 „	80 „	„
ივრიდან . . .	2 „	50 „	„
ვაზიანიდან . . .	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ. . .	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	5 „	13 „	„
ბილისში , . . .	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან . . .	8 ს.	54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან . . .	2 „	58 „	„
გურჯაანში . . .	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან . . .	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან . .	5 ს.	55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან. .	9 ს.	51 წ.	დილ.
ჯულფიდან .	6 ს.	53 წ.	დილ.
ბორჯომიდან .	7 ს.	25 წ.	დილ.
„ საგარ.	10 ს.	28 წ.	საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ . .	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ . .	7 ს.	3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ . .	8 ს.	53 წ.	საღ.
ჯულფისკენ .	10 ს.	23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ.	დღ.

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—34)

თევზის მრეწველნი

ძმ. მეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.

განაყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. **მაილოვის-შვილთ**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელ ექტრომბეჭდავი სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან